საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 53 (855).

სამშაბათი, 5 აპრილი, 1994 წელი

ფასი 3000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის ელჩი

1 აპრილს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.

საუბარი შეეხო საქართველოში შექმნილ ვითარებას.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

შეხვედრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელთან

1 აპრილს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს მოჰამედ შადმან ვალავის, მისიის ექსპერტებს ციდი დიკადასა და ალბერტო სანტოსს. შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი.

საუბარი შეეხო საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ინფლაციის დაძლევის, სამანეთო ზონაში შესვლის შეფასების, სავალუტო ფონდისა და მსოფლიოს სხვა ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს.

დღეს მთელი ენერგია ეკონომიკაში უნდა ჩავდოთ, რადგანაც თუკი რაიმე საფრთხე ემუქრება ჩვენს მიერ არჩეულ გზას, ეს არის შიმშილი და ეკონომიკის გაყინვა, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა.

მან აღნიშნა, რომ დღეს საქართველოს ეხმარება მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ საკუთარი ხელით უნდა შევქმნათ ეკონომიკა, მით უფრო, რომ ამისათვის საკმაოდ მაღალი პოტენციალი გვაქვს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დაარწმუნა სტუმრები, რომ საქართველო შეასრულებს ყველა რეკომენდაციას, რასაც სავალუტო ფონდი წარუდგენს.

ბატონმა მოჰამედ შადმან ვალავიმ აღნიშნა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს დელეგაციასთან ჯერ კიდევ ვაშინგტონში გამართულმა შეხვედრამ და რომ სწორედ ამის შედეგია მისი მისიის ესოდენ სწრაფი ჩამოსვლა საქართველოში.

— ჩვენ გვინდა დავეხმაროთ საქართველოს, თქვა მან, — მაგრამ ეს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. შეიძლება ითქვას — ეტაპობრივი. ჩვენ არაერთხელ მოგვიწევს საქართველოში ჩამოსვლა და იმედია, ვაშინგტონში ყოველი დაბრუნების დროს გვექნება საშუალება განვუცხადოთ სავალუტო ფონდის აღმასრულებელ საბჭოს, რომ საქართველომ კიდევ ერთ მორიგ ეტაპზე პროგრესს მიაღწია.

მოჰამედ შადმან ვალავიმ განმარტა, რომ ფინანსური კრიზისის დაძლევა ხანგრძლივი პროცესია, რომლის განმავლობაშიც სავალუტო ფონდმა უნდა ითავოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მხრიდან საქართველოსათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა. შეხვედრაზე იყო მსჯელობა დღევანდელი მწვავე პრობლემების გადაჭრის გზებზეც.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ქალაქ ქუთაისში სახელმწიფო-მუნიციპალური საკუთრების საწარმოების (ობიექტების) პრივატიზების დაჩქარების შესახებ

ქალაქ ქუთაისში ადგილობრივი (მუნიციპალური) საკუთრების სახელმწიფო ქონების პრივატიზების დაჩქარების მიზნით:

1. ქალაქ ქუთაისის მერიას ნება დაერთოს დაამტკიცოს მის საკუთრებაში არსებული პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების (რომლებიც დადგენილი წესით არ ექვემდებარება აქციონირებას) პრივატიზება 1994 წელს განხორციელდეს რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მერიის კაბინეტის მიერ დამტკიცებული პროგრამებითა და მეთოდიკით — შეღავათების, საკონკურსო პირობების, გადახდისა და ამონაგები თანხების განაწილების წესების გაფართოების უფლებით.

3. ქალაქ ქუთაისის მერიას ნება დაერთოს მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან მიღებული სახსრები მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე მიზნობრივად გამოიყენოს ქალაქის სოციალური და ეკონომიკური პროგრამების დასაფინანსებლად.

ე. შევარდნაძე

ქ. თბილისი, 1994 წ. 25 მარტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

მაიორ ო. ნაკანისათვის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს მესტიის რაიონის გამგებელს, სპეციალური დანიშნულების კომენდატურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს მაიორ **ოთარ** ნაკანს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1994 წლის 4 აპრილი.

შეიქმნა სპეციალური დანიშნულების კომენდატურა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით აფხაზეთის სვანეთის ქართულ სოფლებში ვითარების მკვეთრი გამწვავების გამო მესტიის რაიონში შეიქმნა სპეციალური დანიშნულების კომენდატურა, მას დაევალა დალის ხეობიდან დევნილი მოსახლეობის მიღება და ორგანიზებული გაგზავნა დანიშნულების ადგილის მიხედვით. ჯარების გადაადგილების გასასვლელებში სათანადო წესრიგისა და სხვადასხვა სამსახურების ნორმალური საქმიანობის უზრუნველყოფა.

სპეციალური დანიშნულების კომენდატურის უფროსის მოვალეობის შეთავსება დაევალა მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ოთარ ნაკანს, რომელსაც პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა.

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი მსახიობის და საზოგადო მოღვაწის

მედეა ჯაფარიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ თევდორე რეუტს, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლის თანაშემწეს პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში გენერალ-მაიორ ვასილ ბელჩენკოს

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისა და პირადი შემადგენლობის სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ სასწავლო სროლების ჩატარებისას დაღუპული ტანკ ტ-72-ის ეკიპაჟის წევრების, უფროსი ლეიტენანტების **ა. ბრაგენნიკოვისა** და **ტ. ტუტაევის**, ზემდეგ **მ. ანაპიძის** ნათესავებს, ახლობლებს და თანამებრძოლებს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი **ა. დათუაშვილი**, პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი **დ. სოხაძე**.

ახლა უმთავრესი ამოცანა იყო ის, რომ შექმნილიყო საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემოსვლის პირობები

— **გასულ** კვირას, 31 მარტს, რეფერენდუმის სამი წლისთავზე მოხდა ფაქტი, რომელმაც მთელი ქვეყანა შეაშფოთა. პარლამენტში შემოიჭრა შეიარაღებულ პოლიციელთა ჯგუფი ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსის დავით ზეიკიძის ხელმძღვანელობით. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ისახავდა ეს აქცია, იყო ეს არაკანონიერი, უხეში ფორმით გამოხატული პროტესტი, თუ ამ ქმედების უკან კიდევ რაღაც ან ვიღაც უნდა დავინახოთ? რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ კონკრეტულ ინციდენტს, მოვლენები ასე რომ არ განვითარებულიყო და კიდევ უფრო გამწვავებულიყო? — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვით დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის **ედუარდ შევარდნაძის** ტრადიციული რადიოინტერვიუ.

— **რა თქმა უნდა, არავითარ გადატრიალებასთან აქ საქმე არ გვქონია და ასეთი წინასწარი გეგმა არ არსებობდა. უბრალოდ, საქმე ისეთ მოვლენასთან გვაქვს, როცა დავით ზეიკიძე წინააღმდეგი იყო პარლამენტის კონკრეტული გადაწყვეტილებისა შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშვნის შესახებ და ყველაფერი ამის გამო განვითარდა. მან იცოდა, რომ ეს საკითხი იხილებოდა პარლამენტში და, ალბათ, თავისთვის ამზადებდა ასეთ ვარიანტსაც. არ გამოვრიცხავ, რომ ამ განხილვასთან დაკავშირებით, თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, სწორედ ასე ჰქონდა ჩაფიქრებული. შედეგები მართლაც ტრაგიკული და საბედისწერო შეიძლებოდა ყოფილიყო. შეიძლებოდა კვლავ დაღვრილიყო სისხლი და მაშინ მართლა ძნელია, გათვალო, რა მოხდებოდა. სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მე ვთქვი, რომ ეს არის ცეცხლთან თამაში — ძალისმიერ სისტემებში პოლიტიკური პარტიების გაუთავებელი სირბილი, რომ ეს არის ქვეყნის განწირვა, რომ ეს არ ეკადრება კაცს, რომელსაც ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთებია.**

ამას წინათ ერთი გაზეთი წერდა, შევარდნაძე დაცვამ გაიყვანა და შემდეგ ზევიდან დაჰყურებდა ბრძოლის ველსო... ღმერთო ჩემო, სინდისის ნატამალი ხომ მაინც უნდა ჰქონდეს კაცს... მე ვიცოდი, რომ იმ ინციდენტის შემდეგ, პარლამენტის დარბაზის შესასვლელში რომ მოხდა, პოლიციელთა ძირითადი მასა პირველ სართულზე იყო თავმოყრილი. პარლამენტის კიბიდან ჩასვლა შეუძლებელი იყო. მე გამოვიყენე მეორე სათადარიგო კიბე, მეოთხე სართულიდან ჩავედი პირველ სართულზე და პოლიციელებს განვუმარტე, რაც ხდებოდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. კაცურად, მამაშვილურად, ადამიანურად ვთხოვე დაეტოვებინათ შენობა, ავუხსენი, თუ რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას. მათ მომისმინეს, გამიგეს და შენობიდან გავიდნენ. მერე სხვა ჯგუფები ჩავიყვანე. ვფიქრობ, შენობიდან სწორედ ამ ძირითადი მასის გასვლამ აგვაცილა თავიდან დიდი უბედურება და სისხლისღვრა. დავრწმუნდი, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს. მინდა იმ ბიჭებს მადლობა ვუთხრა, სახელმწიფოს მეთაურს რომ მოუსმინეს. შემდეგ, როცა ზეიკიძე შენობიდან გავიდა, მას ბიჭები გარეთ ელოდებოდნენ (ზეიკიძის მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ მან ამ შემთხვევაში სიჯიუტე არ გამოიჩინა) და ყველანი ერთად წავიდნენ სამმართველოში. ასეთი იყო სურათი და არა სხვაგვარი — კუტუზოვივით ზემოდან გადმოჰყურებდა, რა ხდებოდა ქვემოთო.

კიდევ ერთხელ მოსალოდნელი შედეგის შესახებ: ეს შეიძლება მართლაც მრავალმხრივ ტრაგიკული ყოფილიყო, თანაც უდიდესი ზიანის მომტანი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისათვის. თუ ასეთ შემთხვევას დიდი გართულებები მოჰყვა და შეიძლება შემდეგ სხვა ძალებიც ჩაებნენ პირველ ეტაპზე ასეთ ინციდენტში, მერე კი უკვე ყველაფერი ეს მოვლენებად განვითარდა, ამას შეიძლება მოჰყვეს დიქტატორის მოსვლა ხელისუფლების სათავეში, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დიდი არეულობა, ანარქია და მერე საჭირო გახდეს საგანგებო წესების შემოღება, მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა განხორციელება. ისტორიაში ბევრია ასეთი მაგალითი.

— ამისთვის ხომ არ მზადდებოდა ყველაფერი?

— ამის საფუძველი არა მაქვს, მაგრამ, ვიღაცას რომ ხელს აძლევს ასეთი ვარიანტი — ეს ფაქტია. დასკვნა ასეთი უნდა გამოვიტანოთ: რაღაც გარკვეული პოლიტიკური ძალები დგანან ამ მოვლენის უკან. მე არ მინდა ვთქვა, რომ ზეიკიძე ვინმეს ნებას ასრულებდა, ამ გადაწყვეტილების მიმართ ეს მისი პირადი დამოკიდებულება იყო. მაგრამ, გარკვეულ ძალებს რომ ასეთი ვარიანტი ხელს აძლევდა, მე ამის შესახებ წარმოდგენა მაქვს; ვიცი გარკვეული ინფორმაცია, თუ ვინ რას აკეთებდა. ახლა ცდილობენ ეს ფაქტი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენონ. კვლავ ხელისუფლებას შეუბრუნდეს იგი, როგორც ერთმა თქვა, ბუმერანგივით. მე მადლობელი ვარ ქალაქის პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობისა, რომელიც მაშინვე შეუდგა თავისი, ასე ვიტყოდი, მხედრული მოვალეობის შესრულებას. ქალაქში დარბევა არ ყოფილა, პოსტი არავის არ მიუტოვებია, ამ დღეებში ქალაქის პოლიცია დიდი დაძაბულობით მუშაობს და ეს ცოტ-ცოტა კიდეც დაეტყო ქალაქს.

რაც შეეხება დავით ზეიკიძეს, მე მას დიდ პატივს ვცემდი. ახლაც ვფიქრობ, დამსახურება არ უნდა დაეკარგოს, მაგრამ, რაც მოხდა, იმის პატიება შეუძლებელია. ყველაფერ ამას უკვე მიეცა შეფასება და, ალბათ, გარკვეული შეფასებანი კვლავაც იქნება. დანარჩენი კი თვით დავით ზეიკიძეზე იქნება დამოკიდებული — როგორ მოიქცევა, როგორ გაიგებს და აღიქვამს მომხდარს და როგორ შეფასებას მისცემს თავად. როგორც ვთქვი, ასეთ მოვლენებთან არ თამაშობენ და იგი სერიოზული დასკვნების გამოტანის საფუძველს აძლევს თავად დავითს.

— ეს მოვლენა კანონზომიერი არ არის, მაგრამ ყოფილა ასეთი ძალისმიერი მეთოდებით პარლამენტზე ზეგავლენის მოხდენის სურვილი. ალბათ, ამის შედეგიც იყო 31 მარტის ინციდენტი. პარლამენტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ერთიანი იყო ამ ფაქტის შეფასებისას, ალბათ, იმიტომაც, რომ მიხვდნენ, არ შეიძლება სახელმწიფოში ხდებოდეს ასეთი მოვლენები, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეთანხმები თუ არა სახელმწიფოს მეთაურის კურსს, ხარ მისი მომხრე თუ ოპოზიციონერი. სახელმწიფოში ასეთი რამ არ უნდა მოხდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობის დეფიციტს განიცდის დღეს ქართული სახელმწიფო...

— **მე ორიოდე სიტყვით შევეხებოდი პარლამენტის ერთიანობის მნიშვნელობას სწორედ ასეთი დაძაბულობის ფონზე. მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ განსხვავებული აზრებიც უნდა გვქონდეს ჩვენ პარლამენტში და ხანდახან ეს დაძაბულობა დრამატიზმის კულმინაციურ წერტილსაც აღწევს, მე არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ ასეთი განსაცდელის დროს პარლამენტი თავის სიმაღლეზე დგება ხოლმე.** მინდა უფრო შორს მიმავალი დასკვნა გამოვიტანო: ეს იმაზე მეტყველებს, რომ დემოკრატიული განვითარების გზა საქართველოში შეუქცევადია. რამდენი პარტიაა წარმოდგენილი პარლამენტში, სულ სხვადასხვა სპექტრი და ხანდახან ერთმანეთთან შეუთავსებელიც კი, მაგრამ ამ მთავარსა და არსებითში პარლამენტი არ დაობს და მისი მთელი შემადგენლობა, რომ იტყვიან, ხმალშემართული დადგა დემოკრატიის დასაცავად, რადგან დემოკრატიას ემუქრებოდა საფრთხე. სწორედ ეს იგრძნო პარლამენტმა და მე ამას დიდად ვაფასებ.

ახლა დაუსჯელობის კომპლექსის შესახებ: ზოგიერთი ბრალდება, კრიტიკა, შენიშვნა სავსებით სწორი და დასაბუთებულია, მაგრამ ბევრი, როცა ამაზე მსჯელობს, ხანდახან საქმეში ჩაუხედავია და ძირითადად ეს მათი არგუმენტებია. ყველა ძალისმიერი სისტემის ხელმძღვანელები შეიცვალნენ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში. საქმეს ახალი ადამიანები შეუდგნენ. შედეგიც, გარკვეულწილად, მიღებულია. განახლების გზაზეა თავდაცვის სამინისტროც. რა მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, უშიშროების სისტემაში, ყველამ კარგად იცის — ვინ წავიდა, ვინ მოვიდა, სხვა რა ორგანიზაციული ღონისძიებები განხორციელდა. უამრავი მოძალადე და მაროდიორია დაპატიმრებული, ბევრი უკვე გასამართლებულია, მათ შორის საკმაოდ მაღალი რანგისა და წოდების პირები. ამას წინათ ბოლნისის პოლიციის უფროსის მოადგილე დააპატიმრეს, თბილისსა და დასავლეთ საქართველოშიც იყო ასეთი მოვლენები. თვით შინაგან საქმეთა სამინისტროში, მათივე ინიციატივით, ამხილეს ათობით საკმაოდ მაღალი წოდების მქონე მექრთამე, ამ სისტემის ასევე კორუმპირებული პირები. ეს ყველამ არ იცის, იმიტომ, რომ პრესის გარკვეულ ნაწილს ეს არ აინტერესებს. ეტყობა, მიაჩნიათ, რომ ის, რაც ვითარების გაჯანსაღებაზე მეტყველებს, რაღაც რომ სასიკეთო ხდება, ეს დიდ ეფექტს არ ახდენს და უფრო მეტად სხვა კურსის ერთგული არიან.

მე კი მგონია, რომ ვინც სამართლიანად, კანონის ფარგლებში ისჯება, ყოველივე ეს საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს და ამ მხრივ ტელევიზიამ, პრესამ, ყველამ, ვისაც ქვეყნის ბედი აწუხებს, უფრო მეტი და უფრო ობიექტურად უნდა წერონ.

ახლა ქვეყანა განვითარების გარდამავალ და ურთულეს ეტაპზე იმყოფება. ამიტომაც ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც ჩვეულებრივ ცხოვრებას შეჩვეული ადამიანისათვის ძალიან ძნელად ასახსნელია. ამას არც უნდა შეეჩვიონ ადამიანები, მოქალაქეები და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყველანი შევეჩვიოთ ბანდიტობას, მაროდიორობას, კორუმპირებულ პირთა თარეშს. ასე რომ, გარკვეული ბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ მოქმედებს დაუსჯელობის კომპლექსიც, და, ამავე დროს, არის რაღაც იმედისმომცემი სხვა ტენდენციებიც. ყოველივე ამაში კარგად უნდა გავერკვეთ.

ედუარდ შევარდნაძის 4 აპრილის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას გაფიცული იყვნენ თბილისის მეტროპოლიტენი და რკინიგზა. როგორ ფიქრობთ, იყო ეს ამ ადამიანების სოციალური მდგომარეობის შედეგი, თუ ის, რითაც კარგა ხანია იმუქრებოდნენ გარკვეული პოლიტიკური ძალები ანუ სოციალური „ბუნტი“, თუ ეს ისევ და ისევ არის გარკვეული პოლიტიკური ძალების სურვილი მოვიდნენ ხელისუფლებაში და აქედან გამომდინარე პოლიტიკური აქციები...

— მე მგონი, ერთიცაა და მეორეც. ამას ვრცლად არ შევეხები. უბრალოდ მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება. მადლობელი ვარ რკინიგზელებისა (მქონდა კიდეც მათი იმედი ყოველთვის და ახლაც) და მეტროპოლიტენის კოლექტივისა. ვიცი, მათ ძალიან უჭირთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება გამოავლინეს და ქვეყნის გასაჭირი გაიგეს, ანგარიში გაუწიეს ყველა მოქალაქის გაჭირვებას და მუშაობას შეუდგნენ. მადლობელი ვარ იმ პარლამენტარებისა, რომლებიც მივიდნენ გაფიცულებთან. მათ ეგონათ, რომ იქ რაღაც უკანონობა იყო. ვერ გეტყვით, რომ მათ მოუწოდეს, გამოდით სამუშაოზეო, მაგრამ დარწმუნდნენ იმაში, რომ იქ კანონები არ დარღვეულა და მერე რაიმე წამქეზებლური აქციები აღარ გამართულა. ასეთ დროს ყოველთვის სწორედ ამგვარი ზომიერი მოქმედებაა საჭირო. პარლამენტის წევრს უფლება აქვს მივიდეს ყველგან — პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სისტემაში, უშიშროებაში, სხვაგან და გაერკვეს ვითარებაში. მე ვიცი, რომ ერთი ჯგუფი გაფიცულებთან მივიდა და როცა საქმეში ჩაიხედა, დარწმუნდა, რომ გარკვეულ ძალებს აინტერესებდათ ვითარების გართულება, გაფიცვის გაგრძელება.

რამდენიმე სიტყვა გაფიცვების შესახებ. გაფიცვას ორ შემთხვევაში აქვს აზრი. პირველი: თუ სახელმწიფოს ან კერძო მეწარმეს აქვს საშუალება, მაგრამ არ აძლევს მას ხალხსა და თანამშრომლებს, არ იყენებს სათანადო რესურსებს და ამის გამო მათ გარკვეულ ხელფასში, ეკონომიკურ უზრუნველყოფაში ზიანი ადგებათ.

ქვეყანამ, მოქალაქეებმა ხომ იციან, რა აქვს დღევანდელ სახელმწიფოს. ესე იგი გაფიცვით ეკონომიკურად ბევრს ვერაფერს მიიღებენ. ცოტ-ცოტა ახლა გავაუმჯობესეთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს ძალიან შესამჩნევი იქნება მეტროპოლიტენის თანამშრომლებისა თუ რკინიგზელებისათვის, რადგან ხელფასის მომატება კუპონებით ხანდახან საწინააღმდეგო ეფექტსაც იწვევს. თუ მოხერხდება შეისყიდონ რაიმე და კუპონები დასაქონლონ, ამით შეიძლება რაღაცნაირად დავეხმაროთ, მაგრამ დიდი რამ რესურსი და რეზერვი სახელმწიფოს არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ კიდევ დიდი რაოდენობით დავბეჭდოთ კუპონები და დავარიგოთ. ეს საქმეს არ შველის. ასე რომ, ამ შემთხვევაში გაფიცვა ის იარაღი არ არის, რომლის მეშვეობითაც შეიძლება კოლექტივის ან საკუთრივ პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მეორე: თუ საჭიროა ხელისუფლების, სახელმწიფოს მეთაურის წასვლა, მთავრობის შეცვლა და ა. შ. მე ჩემი მოქმედებით არაერთხელ დამიდასტურებია, რომ ამისათვის არავითარი ძალადობა და გაფიცვები საჭირო არ არის. ვიმეორებ, ასეთი მზადყოფნა ყოველთვის იყო, თუკი ეს საქმეს უშველის. მაგრამ მე ისიც მინდა განვაცხადო, რომ სანამ ჩემს მოვალეობას ვასრულებ, შევასრულებ ისე, როგორც ჩემი სინდისი მიკარნახებს, რის საშუალებასაც მაძლევს ჩემი ცოდნა, გამოცდილება, უბრალოდ, ფიზიკური შესაძლებლობა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღე-ღამეში 24 საათზე მეტი ლიმიტი არ არსებობს. მაშასადამე, იმ ადამიანებს, რომლებიც მთელი ძალით, სურვილითა და დიდი პასუხისმგებლობით შრომობენ, ფიზიკური შესაძლებლობანიც მეტი არა აქვთ. ამიტომაც ხელისუფლების წასვლის მოთხოვნისათვის, ჯერჯერობით, საფუძველი არ არსებობს. გაფიცვები ის ფორმა არ არის, რომელმაც შეიძლება დღევანდელი საქართველო გადაარჩინოს. პირიქით, გაფიცვა პრაქტიკულად ისევ საკუთარი ოჯახის, საკუთარი შვილების, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

— მოსკოვში აფხაზთა მხარესთან მოლაპარაკებაში რაღაც გარკვეული ძვრები გამოიკვეთა. ხომ არ დააჩქარებს ან რამდენად დააჩქარებს ეს აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანას? და კიდევ, გუშინწინ თქვენ თითქმის მთელი დღე თავდაცვის სამინისტროში იმყოფებოდით. რა კეთდება იმ მიზნის მისაღწევად, რომლისთვისაც, ფაქტობრივად, სათავეში ჩაუდექით ამ სამინისტროს, ანუ ახალი ქართული არმიის ასაშენებლად?

— შეთანხმების ტექსტი, თუ მას ხელს მოაწერენ, გამოქვეყნდება. ამ შეთანხმების ძირითად შინაარსზე თუ ვილაპარაკებთ, ეს მაქსიმუმიც არის და მინიმუმიც. მაქსიმუმია დღევანდელი შესაძლებლობისა, რის გაკეთებაც დღეს შეიძლებოდა, და მინიმუმია იმისათვის, რომ საერთაშორისო ძალების შემოყვანის თაობაზე გაეროს და უშიშროების საბჭომ მიიღონ გადაწყვეტილება. ალბათ გახსოვთ, როგორი პირობა იყო წამოყენებული: მოლაპარაკებაზე უნდა მიაღწიონ რაღაც პროგრესს, უნდა შეწყდეს ცეცხლი, არ უნდა მიმდინარეობდეს ბრძოლები, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გაერო გადაწყვეტილებას საერთაშორისო ძალების შემოყვანის თაობაზე. ამიტომ შეთანხმებას ამ მხრივ პრინციპული მნიშვნელობა აქვს, თუკი მას ხელს მოაწერენ. რაც შეეხება ფორმულას, რომელზეც კოზირევი ლაპარაკობდა, კიდევ დაზუსტდება და, პრინციპში, მე მგონია იგი მისაღები უნდა იყოს. არის იქ პატარა გამონაკლისი — იარაღით არავინ არ უნდა შევიდეს. ანდა ის, ვინც დღეს ჯარშია, როგორც სამხედრო პირი, იქ ვერ შევა. წინა ტექსტთან შედარებით ეს წინგადადგმული ნაბიჯია. მართლაც, მოსახლეობის 98 პროცენტს ეს არ შეეხება, დანარჩენი 2 პროცენტიც დაზუსტდება და მოლაპარაკების პროცესში ეს საკითხიც მოგვარდება.

ვიცი, რომ ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით წამოიჭრება პრობლემები — როგორ არის მეორე მხარე, როგორი იქნება დემილიტარიზაციის, განიარაღების საკითხები იქ მყოფი რაზმებისა და ა. შ. ყველაფერი ეს მეორე ეტაპია. მინდა ყველამ კარგად შეიგნოს — ახლა უმთავრესი ამოცანა ის იყო, რომ შექმნილიყო საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემოსვლის პირობები.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროში მუშაობას, იგი სერიოზულად დაიწყო. უნდა გითხრათ, რომ გია ყარყარაშვილის დროსაც ბევრი რამ გაკეთდა. პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა, არმიაში მოდის საკმაოდ საიმედო ახალგაზრდობა, მაგრამ გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ჩვენ ვიმუშავეთ კოლეგიასთან ერთად და ზოგიერთი რამ კიდეც გადავწყვიტეთ. ამაზე, ცოტა მოგვიანებით.

— რამ განაპირობა ის, რომ პარლამენტი, ფაქტობრივად, უცვლელად ამტკიცებს თქვენ მიერ წარდგენილ მინისტრთა კაბინეტს?

— ჯერ ნუ ვიჩქარებთ. სიძნელეები იყო და კიდევ არის, მაგალითად, თედო ნინიძის საკითხი აბსოლუტურად გაუგებარია. იგი სინდის-ნამუსის განსახიერებაა, ერთ-ერთი საუკეთესო იურისტია. როგორც პიროვნებასა და პროფესიონალს მას ყველა პატივს სცემს. ყოველმხრივ საოცრად დადებითი კაცია და, ვფიქრობ, ეს გაუგებრობის შედეგია. მაგრამ, ხომ მაინც სიძნელეა, სირთულეა. ხვალ ჩვენ ძალიან პასუხსაგები დღე გვაქვს — ათი სამინისტროს ბედი უნდა გადაწყდეს. მინდა ვირწმუნო, რომ პარლამენტი აქაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდება.

თქვენ მეკითხებით, რა არის ამის მოტივი და როგორ ხდება ეს. მე მინდა ავხსნა ეს ისე, რომ აქ მუშაობს პასუხისმგებლობის გრძნობა, ისე, როგორც 31 მარტის ინციდენტის დროს გაერთიანდა პარლამენტი. ვფიქრობ, პარლამენტის ძირითადმა შემადგენლობამ კარგად იცის, რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა, თუ მთავრობის კრიზისი გაჭიანურდა, გაგრძელდა და ახლა, ფაქტობრივად, კრიზისია, როცა კაცი უკვე რამდენიმე კვირაა პარლამენტში ზის და ელოდება თავის რიგს. ასე რომ, გარკვეულწილად, სამინისტროების მუშაობა ახლა დეზორგანიზებულია. ვიმეორებ, რომ მოქმედებს პასუხისმგებლობის გრძნობა.

— ტელეინტერვიუში უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ 9 აპრილისათვის დაძაბულობის კულმინაცია გვიწინასწარმეტყველა. ამან ხომ არ განაპირობა ისრაელში თქვენი ვიზიტის გადადება?

— საერთოდ, ჩემი ვიზიტების წინ ყოველთვის რაღაც საშინელებას მიმზადებენ ხოლმე. ახლაც ასე იყო: გაფიცვები, პარლამენტში მომხდარი ინციდენტი, ზოგიერთი სხვა მოვლენაც, რაზეც ბატონმა გიორგაძემ ილაპარაკა. გუშინ მოვიწვიე ისრაელის ელჩი საქართველოში და გულისტკივილით ვაცნობე, რომ ახლა ჩემი ვიზიტი, ასეთ დროს ქვეყნიდან გასვლა მიზანშეწონილი არ არის. მე ასე ვიტყოდი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამიტომაც გადავდე ჩვენი ქვეყნისათვის და, განსაკუთრებით, ჩვენი ეკონომიკური პერსპექტივებისათვის უაღრესად საჭირო ვიზიტი. ბევრს ეს ვიზიტები გასეირნება ჰგონია. თქვენ მოწმე ხართ, როგორი დაძაბული შრომა გვიწევს ამ ვიზიტების დროს, შრომობს ყველა, ვინც ჩართულია ან უშუალოდ არ არის ჩართული, ყველა ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის. ვერ გავმდიდრდით, მაგრამ სულ რომ ვითქვამთ და ვარსებობთ, გარკვეულწილად, ამ ვიზიტების შედეგიც არის.

ბატონმა კლინტონმა 70 მილიონი დოლარის ფარგლებში დახმარება აღგვითქვა. ამის შემდეგ, როცა ჩვენი დელეგაციის ნაწილი იქ მუშაობდა, ეს თანხა 80 მილიონამდე გაიზარდა. ამას დაემატება კიდევ სხვა თანხები სხვადასხვა წყაროდან და ფონდებიდან, ცოტაც წინა წლებიდან გადმოსული და საბოლოო ჯამში ეს 130-140 მილიონი დოლარი იქნება. ესე იგი მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველო 140 მილიონი დოლარის დახმარებას მიიღებს.

ალბათ, ამ ვიზიტის გარეშეც, რაღაც რაოდენობა იქნებოდა, მაგრამ ვიზიტმა თავისი როლი შეასრულა. ასე რომ, ეს გასარკვევი საქმე არ არის და, როცა დღის წესრიგში ვიზიტების საკითხია, მაშინ ყველამ ერთმანეთს ხელი უნდა შევუწყოთ, რადგან ეს სწორედ საქართველოსა და ქვეყნისათვის არის საჭირო.

მერვე სვეტი

ესპანელი ექიმები კახეთში

4 აპრილს თელავში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა ესპანეთის საერთაშორისო ორგანიზაციის „ექიმები საზღვრების გარეშე“ წარმომადგენელთა ჯგუფი.

— ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვიზიტი კახეთში, კერძოდ თელავში, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ჯგუფის ხელმძღვანელმა თომას პატრონიმ, — ამ რეგიონის მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტების მიწოდებით არის განპირობებული. ჩვენ უკვე დავათვალიერეთ თელავის, წნორის, სიღნაღის და დედოფლისწყაროს საავადმყოფოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უახლოეს ხანში ვაპირებთ გავხსნათ ჩვენი ორგანიზაციის რეგიონული წარმომადგენლობა თელავში.

გურამ სოხაშვილი,

ზეიკიძემ სამმართველოს შენობა დატოვა

4 აპრილს, 18.00 საათისთვის დავით ზეიკიძემ საკუთარი ნებით დატოვა ქალაქის პოლიციის სამმართველოს შენობა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დემურ მიქაძე ოფიციალურად შეუდგა სამმართველოს უფროსის პოსტზე მოვალეობის შესრულებას. იგი შეხვდა თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებს.

ანტისემიტი ჟირინოვსკი... ებრაელია!

ვლადიმერ ჟირინოვსკის მშობლიური ალმათის მმაჩის ბიუროების არქივებში უცხოელმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომელთა მიხედვით შეურიგებელი ანტისემიტიზმით ცნობილი ლიდერის მამა ებრაელი იყო — ვოლფ ისაკის ძე ეიდელშტეინი. მისმა ვაჟმა ვლადიმერმა 1964 წელს შეიცვალა გვარი, გახდა ჟირინოვსკი, და მას შემდეგ ამტკიცებს, რომ საგვარეულოში ებრაელი არავინ ყოფილა. საინტერესოა, რომ განცხადებას გვარის შეცვლის თაობაზე 18 წლის ვლადიმერმა თავისი ნამდვილი გვარი მოაწერა — ეიდელშტეინი.

ჟირინოვსკის პარტიის პრესმდივანმა ამერიკელ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ეს დოკუმენტები ყალბია და მოთხოვა 5 ათასი დოლარის გადახდა ჟირინოვსკისთან ნახევარსაათიანი საუბრისათვის.

ალმათის მმაჩიდან ანალოგიური შინაარსის რეპორტაჟი სი-ენ-ენის ტელეკომპანიამ რამდენჯერმე გადასცა.

მოსკოვში ხელი მოაწერეს ქართულ-აფხაზურ დოკუმენტებს

მოსკოვი, 4 აპრილი. (იტარ-ტასი-საქინფორმი). დღეს მოსკოვში ქართველთა და აფხაზთა მხარეების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების შესახებ, აგრეთვე, დეკლარაციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე. ამ დოკუმენტების ხელმოწერა, რომლებიც საიმედო საფუძველს უქმნიან გაჭიანურებული რეგიონული კრიზისის მოწესრიგებას, შესაძლებელი გახდა რუსეთის დიპლომატიის საშუამავლო ძალისხმევისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობის მეოხებით.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადმა წარმომადგენელმა ალექსანდრე კავსაძემ და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სოკრატ ჯინჯოლიამ, აგრეთვე, რუსეთის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს წარმომადგენლებმა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ცერემონიაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბუტროს-ბუტროს გალი.

„რუსეთი ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაეხმაროს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დაზარალებულ ადამიანებს, დაიბრუნონ სიმშვიდე და დაბრუნდნენ სახლებში“, — განაცხადა ქართულ-აფხაზური დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა. იგი, როგორც შუამავალი, მონაწილეობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამო გამართულ კონსულტაციებში.

როგორც რუსეთის დიპლომატმა თქვა, ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ შეთანხმებას ამზადებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის წარმომადგენლები, რომლებსაც ამგვარი საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვთ. ორგანიზაციული მექანიზმების გარდა, საჭიროა მატერიალური სახსრები, რომლებიც ლტოლვილებს დაეხმარება შინ დაბრუნებასა და დანგრეული სახლ-კარის აღდგენაში, აღნიშნა მან.

„ახლა სიტყვებს კონკრეტული საქმეები უნდა მოჰყვეს. გველის მძიმე, დაძაბული მუშაობა“, — ხაზი გაუსვა ბორის პასტუხოვმა.

დღეს მოსკოვში ხელმოწერილ ქართულ-აფხაზურ შეთანხმებებს სპეციალისტები იხილავენ „იმის პირველ რეალურ ცდად, რომ დაიწყოს პრაქტიკული მოწესრიგების პროცესი“ გაჭიანურებულ რეგიონულ კონფლიქტში. დოკუმენტებში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ლტოლვილთა დაბრუნებას. შეთანხმებაში ითვალისწინებს ამისათვის საჭირო პირობების შექმნას, კერძოდ, საომარი მოქმედების შეწყვეტასა და განუახლებლობას უწინარეს ყოვლისა იმ რაიონებში, სადაც უნდა დაბრუნდნენ მცხოვრებნი, რომლებმაც თავიანთი სახლ-კარი მიატოვეს.

როგორც იტარ-ტასისთვის ცნობილი გახდა, ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემა მიღწეულ მორიგებათა შესაბამისად თანდათანობით გადაიჭრება. პირველ ეტაპზე დაგეგმილია, რომ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდებიან ლტოლვილები გალის რაიონიდან.

როგორც იტარ-ტასის დიპლომატიურ კორესპონდენტს საქართველოს დელეგაციასთან დაახლოებულ წრეებში აცნობეს, „ჯერჯერობით არ დგას საკითხი ლტოლვილების სოხუმსა და გაგრაში დაბრუნების შესახებ“. ეს პრობლემა უნდა მოწესრიგდეს მოლაპარაკების შემდგომ ეტაპებზე.

მორიგებანი არ ვრცელდება იმ ლტოლვილებზე, რომლებიც აფხაზთა წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში მონაწილეობდნენ. ეს დებულება დოკუმენტში შეტანილია აფხაზთა დაჟინებული მოთხოვნით, მაგრამ, როგორც იგივე წყაროები განმარტავენ, „უფრო რბილი ფორმით“, ვიდრე აფხაზთა დელეგაციას სურდა.

ხელმოწერილი შეთანხმებანი, აღნიშნავენ დიპლომატიურ წრეებში, სახავენ შესაძლებლობას რეგიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების განლაგებისათვის. მაგრამ ამისათვის საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მორიგებათა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ითვალისწინებს ქვეყნებში ქართველთა და აფხაზთა დელეგაციებს შორის მუდმივ საფუძველზე კონსულტაციების მოწყობას.

განცხადება

ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

1. 1994 წლის 22-25 თებერვალს ჟენევაში, 1994 წლის 7-9 მარტს ნიუ-იორკში და 29-31 მარტს მოსკოვში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლების მონაწილეობით ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების მესამე რაუნდი.

2. მოლაპარაკება მიმდინარეობდა უშიშროების საბჭოს 1993 წლის 9 ივლისის 849 (1993), 1993 წლის 6 აგვისტოს 854 (1993), 1993 წლის 24 აგვისტოს 858 (1993), 1993 წლის 19 ოქტომბრის 876 (1993), 1993 წლის 4 ნოემბრის 881 (1993), 1993 წლის 22 დეკემბრის 892 (1993), 1994 წლის 31 იანვრის 896 (1994), 1994 წლის 4 მარტის 901 (1994) და 1994 წლის 25 მარტის 906 (1994) რეზოლუციათა შესაბამისად.

3. ამ განცხადების ხელმოწერის თარიღიდან მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ზუსტად დაიცვან ცეცხლის ოფიციალური შეწყვეტა და კვლავ ადასტურებენ, 1994 წლის 13 იანვრის კომუნიკეს შესაბამისად, თავიანთ ვალდებულებებს არ გამოიყენონ ძალა და არ გამოიყენონ ძალის გამოყენებით დამუქრება ერთმანეთის წინააღმდეგ.

4. მხარეებმა შეათანხმეს და ხელი მოაწერეს ოთხმხრივ შეთანხმებას ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ, რომელიც ერთვის ამ განცხადებას. შეთანხმება უზრუნველყოფს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებას არსებული საერთაშორისო პრაქტიკის, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის პრაქტიკის შესაბამისად.

ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა სპეციალური კომისია, რომელშიც შევლენ მხარეების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის, რუსეთის ფედერაციისა და მეთვალყურედ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლები, მუშაობას დაიწყებს სოჭში 1994 წლის აპრილის შუა რიცხვებში. შეთანხმების შესრულება დაიწყება სამშვიდობო ძალების განლაგების შემდეგ.

5. მხარეები ადასტურებენ თავიანთ თხოვნას მშვიდობის დაცვის ოპერაციების უსწრაფესად დაწყებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში რუსეთის ჯარის კონტინგენტის მონაწილეობის შესახებ, რაც გაცხადებულია 1993 წლის 1 დეკემბრის გაგების მემორანდუმსა და 1993 წლის 13 იანვრის კომუნიკეში. მშვიდობის დაცვის ოპერაციის განხორციელების გეგმა შეთანხმებული იქნება კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან.

მშვიდობის დაცვის ოპერაციის რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნებას.

მხარეები კვლავ მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გააფართოოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურის მისიის მანდატი საქართველოში.

6. აფხაზეთს აქვს თავისი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, შესაბამისი სახელმწიფო ატრიბუტიკა: ჰიმნი, გერბი, დროშა.

7. მხარეებმა გამართეს კონსულტაციები უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ იმ გაგებით, რომ ამ საკითხზე ნებისმიერი შეთანხმება საერთო მოწესრიგების ნაწილია და მიღწეული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა გამოიძებნება კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტა.

ამ ეტაპზე მხარეებმა მიაღწიეს საერთო გაგებას შემდეგ დარგებში ერთობლივი საქმიანობისათვის უფლებამოსილებათა შესახებ:

ა) საგარეო პოლიტიკა და საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობანი;

ბ) სასაზღვრო სამსახური;

გ) საბაჟო სამსახური;

დ) ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა;

ე) ეკოლოგია და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაცია;

ვ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა, ეროვნული უმცირესობების უფლებათა უზრუნველყოფა.

8. მხარეები შეთანხმდნენ განაგრძონ ენერგიული ძალისხმევა სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მისაღწევად.

მხარეები შექმნიან შესაბამის კომიტეტს, რომელიც იმუშავებს მუდმივ საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით და გაეროს თავმჯდომარეობით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების, აგრეთვე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. კომიტეტი რიგრიგობით გამართავს სხდომებს მოსკოვსა და ჟენევაში. პირველი სხდომა გაიმართება ჟენევაში 1994 წლის 19 აპრილს. შემუშავდება მოქმედების ეტაპობრივი პროგრამა, წინადადებანი სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობათა აღდგენის თაობაზე.

9. მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება განახორციელონ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნისა და დაღუპულთა გადასვენების დამატებითი ღონისძიებანი.

10. მხარეები, იმ პირთა სასჯელის აუცილებლობის პრინციპის საფუძველზე, რომლებმაც ჩაიდინეს სამხედრო დანაშაულობანი და დანაშაულობანი ადამიანთა წინააღმდეგ, აგრეთვე ჩაიდინეს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულობანი, როგორც ეს განსაზღვრულია, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის შესაბამისად, შეთანხმდნენ გააძლიერონ მუშაობა ასეთ დანაშაულობათა გამოსაძიებლად დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

სასჯელი არ ასცდებათ აგრეთვე პირებს, რომლებიც იარაღით ხელში ცდილობენ ან შეეცდებიან ჩაშალონ სამშვიდობო პროცესი აფხაზეთში.

ქართველთა მხარის სახელით
ა. კავსაძე,

აფხაზთა მხარის სახელით
ს. ჯინჯოლია,

ესწრებოდნენ:

გაეროსაგან
ე. ბრუნერი.

რუსეთის ფედერაციისაგან
ბ. პასტუხოვი.

ევროთათბირისაგან
ვ. მანო.

მოსკოვი. 1994 წლის 4 აპრილი.

ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ

აფხაზურ-ქართული მხარეები, შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი და რუსეთის ფედერაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარი,

იმოწმებენ რა უშიშროების საბჭოს 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854, 1993 წლის 24 აგვისტოს 858, 1993 წლის 19 ოქტომბრის 876, 1993 წლის 4 ნოემბრის 881, 1993 წლის 22 დეკემბრის 892 და 1994 წლის 31 იანვრის 896 რეზოლუციებს,

აღიარებენ, რომ თავისი წარმოშობის ქვეყანაში ცხოვრების და მასში დაბრუნების ყველა მოქალაქის უფლება ხორცშესხმულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში,

მხედველობაში იღებენ უმაღლესი კომისრის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტის მეთვრამეტე (XXXI) და მეორმოცე (XXXVI) დასკვნებს, რომლებიც წარმოადგენენ ლტოლვილთა რეპატრიაციის მარეგულირებელ საერთაშორისო შეთანხმებულ პრინციპებს,

მოქმედებენ 1993 წლის 1 დეკემბერს მხარეთა მიერ ხელმოწერილი გაგების შესახებ მემორანდუმის და განსაკუთრებით მე-4 პუნქტის შესაბამისად, რომელშიც მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან შექმნან აფხაზეთის ყველა რაიონში მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პირობები,

შეახსენებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის 428 (V) რეზოლუციის თანახმად, რომელშიც დამტკიცებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის წესდება, უმაღლეს კომისარს ეკისრება ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფისა და ლტოლვილთა პრობლემების საბოლოო გადაჭრის გზების გამოძებნის ფუნქციები, კერძოდ მათი ნებაყოფლობითი რეპატრიაციის წახალისებისა და შემსუბუქების გზით,

შეახსენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლეს კომისარზე დაკისრებულ მოვალეობებს, იმოქმედოს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით როგორც აფხაზეთში ადგილნაცვალ პირთა რეპატრიაციის საქმეთა საერთაშორისო წამყვანმა დაწესებულებამ,

აღნიშნავენ მხარეთა სურვილს ითანამშრომლონ ერთმანეთთან ნებაყოფლობითი რეპატრიაციის პრინციპებისა და გარანტიების სრული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით,

ითვალისწინებენ ამასთან დაკავშირებით რეპატრიაციის განხორციელების მიზნით ასეთი თანამშრომლობის პირობების განსაზღვრის საფუძვლების შექმნის საჭიროებას,

აღნიშნავენ, რომ მხარეების შეთანხმებით აფხაზეთში რეპატრიაციის ოპერაცია გაითვალისწინებს, რომ მის განხორციელებამდე გარანტირებული უნდა იყოს დაბრუნების რაიონებში უშიშროების პირობები და საბინაო პირობები,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეები თანახმანი არიან ითანამშრომლონ და ერთად იმოქმედონ ღონისძიებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ იმ ადამიანთა უსაფრთხო, მშვიდი და ღირსეული დაბრუნება მათი მუდმივი ცხოვრების რაიონებში, რომლებმაც კონფლიქტის ზონა დატოვეს.

2. ამ შეთანხმების მიზნით მხარეები უზრუნველყოფენ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხოებას ნებაყოფლობითი რეპატრიაციისა და რეაბილიტაციის მოსაწყობ ოპერაციათა დროს.

3. ნებაყოფლობითი რეპატრიაციის ამ პროგრამის განხორციელების დროს მხარეები ვალდებულებას კისრულობენ დაიცვან შემდეგი პრინციპები:

ა) ადგილნაცვალ პირებს — ლტოლვილებს აქვთ თავიანთი წარმოშობის ან ცხოვრების ადგილებში ნებაყოფლობით დაბრუნების უფლება მათი ეთნიკური, სოციალური ან პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად სრული უშიშროების, თავისუფლებისა და ღირსების პირობებში;

ბ) რეპატრიაციის ნებაყოფლობითი ხასიათი განისაზღვრება და უზრუნველყოფილია შესაბამის შეთანხმებათა მეშვეობით;

გ) ადგილნაცვალ პირებსა და ლტოლვილებს უფლება აქვთ დაბრუნდნენ მშვიდობიანად, დაპატიმრების, დაკავების, საპატიმროში ჩასმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის რისკის გარეშე.

ასეთი იმუნიტეტი არ ვრცელდება პირებზე იმ შემთხვევაში, როცა არის სერიოზული ნიშნები, რომ:

— მათ ჩაიდინეს სამხედრო დანაშაული ან დანაშაული ადამიანთა წინააღმდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო დოკუმენტებში;

ან

— ჩაიდინეს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული; ან

— წინათ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებაში, ამჟამად კი იმყოფებიან შეიარაღებულ ფორმირებათა შემადგენლობაში, რომლებიც ემზადებიან საომარი მოქმედებისათვის აფხაზეთში.

ამ კატეგორიებს მიკუთვნებული პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ შესაბამისი არხებით, თუ რა შედეგებს შეიძლება წააწყდნენ ისინი დაბრუნების შემდეგ;

დ) მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ლტოლვილები დაბრუნების შემდეგ სარგებლობდნენ თავისუფალი გადაადგილებისა და განსახლების, მათ შორის იმ რაიონებში დაბრუნების უფლებით, სადაც ისინი ცხოვრობდნენ კონფლიქტის ზონის დატოვებამდე ან რაიონებში თავიანთი არჩევით;

ე) მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ლტოლვილებს და ადგილნაცვალ პირებს დაბრუნების შემდეგ გაუგრძელებენ ან აღუდგენენ პასპორტებს და ჩაწერას. ეს დოკუმენტები ძალაში იქნება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის ან მათ მიერ არჩეული დაბრუნების ადგილისათვის;

ვ) მხარეები დასაბრუნებელი პირებისათვის, მათი დაბრუნების შემდეგ, უზრუნველყოფენ დევნისაგან მათ დაცვას, მათ შორის არასანქციონირებული გადასახადების ან მოსაკრეფლების აღების და მათი სიცოცხლის ან ქონებისადმი მუქარისაგან;

ზ) დასაბრუნებელ პირებს ჩასვლის შემდეგ უბრუნებენ მათ მიერ დატოვებულ უძრავ და მოძრავ ქონებას, მათ გაუწევენ დახმარებას მის მიღებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგული ქონების ღირებულება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, კომპენსირებული უნდა იქნეს.

მე-5 პუნქტში მოხსენიებული კომისია შექმნის ასეთ მოთხოვნათა მოწესრიგების მექანიზმს. ასეთი კომპენსაცია უნდა გაიცეს რეკონსტრუქცია-აღდგენის პროგრამების ფარგლებში, რომლებიც განხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებაყოფლობითი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით;

თ) ადგილნაცვალი პირები და ლტოლვილები, რომლებიც არ მოისურვებენ დაბრუნებას აფხაზეთში, კვლავინდებურად მიიღებენ დახმარებას და ისარგებლებენ დაცვით, სანამ არ გამოიძებნება მისაღები ალტერნატიული გადაწყვეტილებანი ასეთი შემთხვევების მიმართ;

ი) ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების ფუძემდებელი პრინციპის შესაბამისად, თუ ოჯახების რეპატრიაცია სრული შემადგენლობით შეუძლებელი იქნება, შეიქმნება აფხაზეთში მათი შეერთების მექანიზმები. გარდა ამისა, ხორციელდება უზედამხედველოდ დარჩენილ მოზარდთა და რეპატრიაციის პროცესში მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთა გამოვლენისა და დამატებითი მხარდაჭერა-დახმარების გაწევის ღონისძიებანი.

კ) მხარეები ეთანხმებიან იმას, რომ ლტოლვილებსა და ადგილნაცვალ პირებს გარანტირებული ექნებათ რეპატრიაციის რაიონებში სიტუაციის შესახებ მთელი არსებული ინფორმაციის დაუბრკოლებელი მიღება, ასეთი ინფორმაცია უნდა მიეცეთ კამპანიის ფარგლებში, რომელსაც მოაწყობს კომისია, როგორც ეს ნათქვამია მე-9 (ბ) პუნქტში.

4. ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა აფხაზეთში ნებაყოფლობითი დაბრუნების განხორციელების მიზნით ამ შეთანხმების შესაბამისად იქმნება ოთხმხრივი კომისია.

5. კომისიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ შეიმუშაოს, განიხილოს და დაამტკიცოს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო, მოწესრიგებული და ნებაყოფლობითი რეპატრიაციის, აგრეთვე მათი წარმატებული რეინტეგრაციის განხორციელების გეგმები. კომისია დაადგენს აგრეთვე მე-3 (გ) პუნქტის გამოყენებისა და მისი შესრულებისადმი კონტროლის პროცედურის წესებს. ასეთი გეგმები უნდა შეიცავდნენ რეგისტრაციას, ტრანსპორტს, ძირითად მატერიალურ დახმარებას 6 თვემდე ვადით და დახმარებას რეაბილიტაციაში.

ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პირობების უზრუნველყოფის მიზნით კომისია შექმნის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შეაფასებს აფხაზეთში ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის მოცულობას, დაბრუნების რაიონებში სახლების არსებობას და რეაბილიტაცია-აღდგენის მოთხოვნილებათა დონეს აქედან გამომდინარე ფინანსური შედეგებით. ეს გამოკვლევა უნდა მოეწყოს თანამიმდევრულად რაიონების მიხედვით მხარეთა მიერ შეთანხმებული და მოწონებული დაბრუნების გეგმის შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები შეთანხმდნენ დაიწყონ რეპატრიაცია გალის რაიონიდან.

6. კომისიის შემადგენლობაში შედის ოთხი წევრი, თითო-თითო თითოეული მხარისაგან და რუსეთის ფედერაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრისაგან.

გარდა ამისა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი დანიშნავს წარმომადგენელს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კომისიის სხდომებში, როგორც მეთვალყურე. თუ გარემოებანი დანიშნულ წარმომადგენელს არ აძლევს საშუალებას დაესწროს ასეთ სხდომებს, კომისია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიას საქართველოში რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას კომისიის მუშაობაში პროგრესის შესახებ.

7. კომისიის ნებისმიერ სხდომაში მონაწილე კომისიის ნებისმიერ წევრს შეიძლება ახლდეს ისეთი მრჩევლები, რომელთა ყოფნას საჭიროდ მიიჩნევს ამ წევრის დამნიშვნელი მხარე. ისეთ შემთხვევებში, როცა კომისიის ამა თუ იმ წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კომისიის რომელიმე სხდომაში, შესაბამის მხარეს შეუძლია დანიშნოს მოადგილე.

8. კომისიის სხდომები იმართება საჭიროების კვალობაზე, მაგრამ არა უმეტეს ერთხელ თვეში. კომისიის სხდომების მოწვევა შეიძლება ნებისმიერი წევრის თხოვნით და იმართება იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომისიის წევრებს შეუძლიათ მორიგდნენ სხვა რამეზე. მხარეები თანახმა არიან უზრუნველყონ კომისიის წევრთა და შეთანხმებულ ღონისძიებათა განხორციელების მონაწილე პერსონალის პირადი უსაფრთხოება.

კომისიის პირველი სხდომის მოწყობის თარიღი უნდა განისაზღვროს რაც შეიძლება მოკლე ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ერთი კვირისა მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭო მიიღებს რეზოლუციას მექანიზმის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დაბრუნების რაიონებში უსაფრთხოების პირობებს.

9. თავის პირველ სხდომაზე კომისია დაადგენს მე-5 პუნქტში აღნიშნულის შეფასების წესს და განსაზღვრავს გეგმას, რომელიც ეხება:

ა) რაიონებს, სადაც რეპატრიაცია განხორციელდება უწინარეს ყოვლისა გარანტირებული უსაფრთხოებისა და მზადყოფნის დონის შესაბამისად;

ბ) ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა შორის ნებაყოფლობითი დაბრუნების წახალისების მიზნით საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას;

გ) იმ პირთა რეგისტრაციის პროცესს, რომლებმაც დაბრუნების მზადყოფნა გამოთქვეს;

დ) იმ პირთა დაბრუნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებებს პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-3 (ა-ი) პუნქტში;

ე) ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთათვის ფინანსურ, სატრანსპორტო მოთხოვნილებებსა და ძირითად მატერიალურ დახმარებას, აგრეთვე დაბრუნების ადგილებში რეაბილიტაცია-აღდგენის სავარაუდო მოთხოვნილებებს, როგორც ეს აღნიშნულია მე-5 პუნქტში.

10. მხარეები თანახმა არიან, რომ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა წარმომადგენლებს უზრუნველყოფილი ჰქონდეთ ხელშეწყობა, რათა ეწვიონ დაბრუნების ადგილებს და თავად დარწმუნდნენ, თუ როგორი პირობებია შექმნილი მათი დაბრუნებისათვის.

11. თუ კომისიაში წარმოიქმნება უთანხმოება ამ შეთანხმების გამოყენებისა და განმარტების შესახებ, როცა ასეთ უთანხმოებას მეგობრულად ვერ აწესრიგებენ კომისიის წევრები, კომისია ასეთ უთანხმოებას მოსაწესრიგებლად გადასცემს მხარეებსა და რუსეთის ფედერაციას, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლეს კომისარს.

მხარეები, რუსეთის ფედერაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველო თანხმდებიან შემდეგზე:

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს პირდაპირ და დაუბრკოლებლად მიუწვდება ხელი აფხაზეთიდან ყველა ადგილნაცვალთან და ლტოლვილთან იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც საჭიროა მისი მანდატის, აგრეთვე ოპერატიული და სამეთვალყურეო ხასიათის მოვალეობათა შესრულებისათვის;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო დაწესებულებების მუშაკები, რომლებიც თანამშრომლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან რეპატრიაციის, რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პროგრამათა რეალიზაციაში, უზრუნველყოფილი იქნებიან გადაადგილებით ყველა რაიონს შორის და მათ ფარგლებში, სადაც ლტოლვილები და ადგილნაცვალი პირები იმყოფებიან, აგრეთვე რაიონების ფარგლებში, რომლებშიც ისინი ბრუნდებიან. აღნიშნული შეიცავს საჰაერო სივრცის, დადგენილი ასაფრენ-დასაჯდომი ზოლების და აეროპორტების გამოყენებას ფრენისათვის იმ მიზნით, რომ აფხაზეთიდან ადგილნაცვალ პირებსა და ლტოლვილებს გაეწიოთ საგანგებო დახმარება, აგრეთვე განთავისუფლდნენ მათი ნებაყოფლობითი რეპატრიაციის პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებლად იმპორტირებულ ყველა საქონელზე გადასახადებისა და ბაჟისაგან და აფხაზეთის რეგიონს გაუწიონ საგანგებო დახმარება ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის ხაზით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და დაწესებულებებმა, რომლებიც მასთან თანამშრომლობენ, აგრეთვე იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ასეთი საქონლის საბაჟო წმენდა და დამუშავება;

გ) რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს ჰუმანური ტვირთების შეუფერხებელ ტრანზიტს, რომლებიც იგზავნება ამ შეთანხმების მიზნებისათვის მის ტერიტორიაზე გავლით;

დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველო შექმნის საჭირო ადგილობრივ განყოფილებებს დაინტერესებულ მხარეთა მიერ შეთანხმებულ ადგილებში, რათა ხელი შეუწყოს ნებაყოფლობით რეპატრიაციას, რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციას;

ე) გარანტირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იმ დაწესებულებათა პერსონალისა და ქონების უსაფრთხოება, რომლებიც მასთან თანამშრომლობენ;

ვ) უზრუნველყოფილი იქნება, რომ გამოიყოს და მხარეებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მასთან თანამშრომელმა დაწესებულებებმა მუდმივად გამოიყენონ სპეციალურად დადგმული რადიოსიხშირეები მათ განყოფილებებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და პერსონალს შორის რადიოკავშირისათვის ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა ადგილმდებარეობის რაიონებში, აგრეთვე რაიონებში რომლებშიც ისინი ბრუნდებიან.

ეს ხელშეკრულება ძალაშია დაუყოვნებლივ და მოქმედებს ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა ეფექტიანი ნებაყოფლობითი დაბრუნებისათვის საჭირო პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს მხარის, აფხაზეთის მხარის, რუსეთის ფედერაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

განხორციელდა მოსკოვში 1994 წლის 4 აპრილს ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან სამი რუსულ ენაზეა, ერთი — ინგლისურზე, ამასთან ოთხივე ტექსტი ავთენტიკურია, ხოლო ინგლისურ ენაზე შედგენილი ტექსტი გამოყენებული იქნება განმარტების მიზნებისათვის.

საქართველოს მხარის სახელით
ა. კავსაძე,
რუსეთის ფედერაციის სახელით
ბ. პასტუხოვი.

აფხაზთა მხარის სახელით
ს. ჯინჯოლია,
გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი
კომისრის სახელით
ხ. ამუნატეგი.

ძირითადად აკმაყოფილებს ქართული მხარის მოთხოვნებს

სანდრო კავსაძის ინფორმაცია

1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დარბაზობათა სახლში (ა. ტოლსტოის ქ. 17) ხელი მოაწერეს ორ მნიშვნელოვან საბუთს. კერძოდ, განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ და ოთხმხრივ შეთანხმებას ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ.

ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბატონი ბუტროს ბუტროს გალი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ანდრია კოზირევი, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეები ბატონები: ბ. გულდინგი, ივ. ბერტელო, პეტროვსკი, ევროთათბირის წარმომადგენელი ელჩი ბატონი მანო, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩები რუსეთის ფედერაციაში და გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი.

შეთანხმებას დადებითი შეფასება მისცეს გაეროს გენერალურმა მდივანმა ბატონმა ბუტროს გალიმ, მისმა მოადგილეებმა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ჩვენმა დელეგაციამ კიდევ ერთხელ იმსჯელა ხელმოწერილი საბუთების ავკარგიანობაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების თაობაზე ძირითადად აკმაყოფილებს ქართული მხარის მოთხოვნებს. ეს საბუთი მომზადებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის აპარატის მიერ და, ცხადია, ეფუძნება როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ისე მსოფლიოში შექმნილ გამოცდილებასა და პრაქტიკას.

ამ საბუთში რამდენიმე პრინციპული და ამავე დროს საკვანძო საკითხია, კერძოდ:

— ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნება მოხდება მათთვის უსაფრთხო დაბრუნებისა და ცხოვრების გარანტიებით, ხოლო ამ გარანტიების მექანიზმი უნდა დაადგინოს გაეროს უშიშროების საბჭომ (პუნქტი 8, მე-2 აბზაცი).

— შეიქმნება ლტოლვილთა დაბრუნების ოთხმხრივი კომისია კონფლიქტის მხარეების, რუსეთის ფედერაციის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებს ევროთათბირის წარმომადგენელი დამკვირვებლის სტატუსით.

კომისიას ევალება ლტოლვილთა დაბრუნების ორგანიზაცია, საქმიანობის ხელმძღვანელობა, სხვადასხვა ორგანოების ძალთა კოორდინაცია.

— ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო შეთანხმების ტექსტის „3გ" პუნქტის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ხელშეუხებლობის იმუნიტეტის გავრცელებლობაზე. აფხაზთა მხარე ითხოვდა ეს იმუნიტეტი არ გავრცელებულიყო იმათზე, ვინც მონაწილეობდა კონფლიქტში. უარი ვთქვით და შევთავაზეთ შემდეგი ვარიანტი, იმუნიტეტი არ გავრცელდეს იმათზე, ვინც „წინათ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებაში, ამჟამად იმყოფებიან შეიარაღებულ ფორმირებათა შემადგენლობაში, აფხაზეთში საომარი მოქმედებისათვის რომ ემზადებიან". ეს ფორმირება ხელმოწერილია.

მთლიანად ეს საბუთი მაღალ პროფესიულ დონეზეა შექმნილი და სამართლებრივად თითქმის სრულყოფილია.

რაც შეეხება განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ, მასში მნიშვნელოვანია ის პუნქტები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ოთხმხრივ შეთანხმებასთან ლტოლვილების დაბრუნების შესახებ, კერძოდ განცხადების მე-5 პუნქტის მეორე აბზაცში პირდაპირ არის მითითებული, რომ სამშვიდობო ოპერაციის რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხო დაბრუნებას.

— მე-4 პუნქტის ბოლო წინადადებაში აღნიშნულია, რომ შეთანხმების (ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა შესახებ) შესრულება დაიწყება სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში განლაგების შემდეგ.

— მე-10 პუნქტის მეორე აბზაცში პირდაპირ არის მითითებული, რომ არა მარტო ლტოლვილები აგებენ პასუხს სამშვიდობო პროცესის ჩაშლისათვის, არამედ ყველა ის, ვინც იარაღით ხელში ეცდება შეაფერხოს სამშვიდობო მოძრაობა.

ჩვენი აზრით, საინტერესოა განცხადების მე-7 პუნქტიც, რომელშიც ლაპარაკია საერთო კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

ცხადია, განცხადებას აქვს რამდენიმე სუსტი რგოლიც, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ მასზე ყურადღების გამახვილება არ ღირს.

დღესვე, ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ, გაიმართა მხარეთა, რუსეთის ფედერაციის, ევროთათბირის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური ელჩის ბატონ ე. ბრუნერის თავმჯდომარეობით.

შეხვედრა საქმიან ხასიათს ატარებდა და უკვე მიღებულია რამდენიმე შეთანხმება, მათ შორის:

— ლტოლვილთა დაბრუნების ოთხმხრივი კომისია თავის პირველ სხდომას გამართავს სოჭში, პარასკევს, 8 აპრილს;

— 12 აპრილისათვის დაინიშნა შეხვედრა პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით (მხედველობაში მაქვს სამშვიდობო ძალების შესახებ მანდატის, დისლოკაციის და სხვა მიმართულებებით წინადადებების მომზადებაში).

— 19 აპრილს შეიკრიბება მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც პოლიტიკური მოწესრიგების სრულმასშტაბიანი გეგმის განხილვასთან ერთად იმსჯელებს აფხაზეთის სტატუსის შესახებ.

ამ საბუთებს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ მოგვარდება კონფლიქტი, მაგრამ ამ ორივე საბუთს აქვს მნიშვნელობა იმის გამო, რომ სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს უშიშროების საბჭოსათვის, სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში შეყვანისათვის, მნიშვნელოვანია ისიც, რომ განახლდა სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესი.

ერთგვარ მოულოდნელობადაც შეიძლება შეფასდეს

რედაქციის თხოვნით

დოკუმენტებს კომენტარს უკეთებენ

მოლაპარაკებაში მონაწილე ქართული მხარის წარმომადგენლები

მოსკოვში დასრულდა ჟენევაში დაწყებული აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი რეგულირების მესამე რაუნდი. უნდა ითქვას, რომ ჟენევასა და ნიუ-იორკში ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ, როდესაც მხარეებმა ვერ გამონახეს პრინციპულ საკითხებში პოზიციათა დაახლოების შესაძლებლობა, მოსკოვის ამჟამინდელი მოლაპარაკების განვითარება და მისი შედეგები ერთგვარ მოულოდნელობადაც შეიძლება შეფასდეს.

აქ ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს. პირველი კონფლიქტის რეგულირების ღონისძიებათა თაობაზე პოლიტიკური განცხადების ტექსტია. მეორე — ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თაობაზე შეთანხმება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტების ტექსტები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ძირითადი პუნქტი, რომლის მიმართაც ორივე მხარეს სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება ჰქონდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას შეეხებოდა. ნიუ-იორკში და აქაც, გარკვეული ცვლილებით წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მხარეები, მათ შორის ქართული, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ცნობენ რიგი პირობების მიღწევის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს ფორმულირება სავსებით მიუღებელია და ამდენად გასაგებია, რომ ნიუ-იორკში ამ სახით საქართველოს მხარე დოკუმენტს ხელს არ მოაწერდა. მეორეს მხრივ, სამშვიდობო ძალების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ამ საკითხის დაფიქსირება დოკუმენტში მეტად სასურველი იყო. ასევე სასურველი პოზიცია პუნქტის დატოვებაზე გამოხატა აფხაზურმა მხარემ.

ამ ეტაპზე მაინც მოხერხდა აღნიშნულ სადაო პუნქტზე უარის თქმა და ფაქტობრივად მნიშვნელოვანი დოკუმენტის შენარჩუნება. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება აფხაზთა მხარის მიერ, გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების მოხსენიებით ირიბად მაინც მოხერხდა. ამასთან ხელმოწერილ დოკუმენტში ხაზგასმულია ცეცხლის შეწყვეტის, თავდაუსხმელობის ვალდებულება, დადასტურებულია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაზე შეთანხმების მიღწევა, დაფიქსირებულია საერთო სურვილი კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების განლაგების თაობაზე. მეორეს მხრივ აღნიშნული პუნქტის ამოღება ვერ უწყობს ხელს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციის მიღებას. საერთოდ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს გალის ცნობილი მოხსენება კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შემოყვანის პირობების არარსებობის შესახებ სწორედ მხარეთა პრინციპულ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თაობაზე უთანხმოებას ეყრდნობოდა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელზეც ადრე ასევე ვერ შეთანხმდნენ მხარეები, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შეთანხმების პროექტის ის ნაწილი იყო, რომლის მიმართ აფხაზურ მხარეს ჩვენთვის სრულიად დაუშვებელი პოზიცია ეკავა. კერძოდ ის, რომ ხელშეუხებლობის იმუნიტეტი არ გავრცელებულიყო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის იმ ნაწილზე, ვინც იარაღით ხელში მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში.

ახლა, მიღწეული შეთანხმების შედეგად მიღებულია დებულება, რომლის მიხედვითაც უსაფრთხოების იმუნიტეტი არ უნდა გავრცელდეს იმათზე, ვინც ადრე მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში და ახლაც იარაღით ხელში ემზადება საომრად აფხაზეთში. ცხადია სამშვიდობო მოლაპარაკების მიზანი სწორედ მორიგი სისხლისღვრის აცილებაა და ამდენად აღნიშნული დებულება რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას არ უნდა შეიცავდეს.

ასევე არ ვრცელდება იმუნიტეტი იმათზე (ეს ეხება კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს) ვისაც ჩადენილი აქვს სამხედრო, სისხლის სამართლის და ამ ტიპის სხვა დანაშაული.

შეთანხმებით, გათვალისწინებულია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით უსაფრთხო დაბრუნებას, მათთვის ცხოვრების პირობების შექმნას. ასევე მნიშვნელოვანია მე-10 პუნქტი, სადაც აღნიშნულია იმ პირთა სასჯელის გარდაუვალობის შესახებ, ვინც იარაღით ხელში ცდილობს და მომავალშიც შეეცდება აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის ჩაშლას.

დოკუმენტის შექმნა და მისი ხელმოწერა დადებითი მომენტია, მაგრამ არ იქნებოდა სწორი მისი მნიშვნელობის გადაჭარბება. ეს მხოლოდ პროცესის დასაწყისია. მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ გატარდება პრაქტიკული ზომები. რა ნაბიჯები გადაიდგმება პოლიტიკური პროცესის გასაღრმავებლად.

პირველ რიგში ბოლომდეა მისაყვანი სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში შემოყვანის საკითხი. ამასთან დაკავშირებით გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის წინადადებით უახლოეს დღეებში უნდა შედგეს შეხვედრა ჟენევაში სამშვიდობო ძალების თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციის მისაღებად საჭირო პირობებზე შეთანხმების მისაღწევად. ასევე უახლოეს მომავალში განიხილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების, აფხაზეთის სტატუსისა და სხვა საკითხები. მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს სამშვიდობო ძალების როლისა და განლაგების, მისი მანდატის განსაზღვრა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ არსებული პრაქტიკის მიხედვით ამ ძალების როლი, ფუნქციები ამგვარ სიტუაციაში გარკვეულად შემოფარგლულია. ჩვენ უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად გავაფართოოთ მისი ფუნქციები. ეს არ ისე ადვილი იქნება, მაგრამ ამის საშუალება რეალურად არსებობს და მას გამოყენება უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარალელური მონოლოგები

93-ის 27 სექტემბერი

2. სიცოცხლემდე ერთი ნაბიჯილა იყო

„ზვერავდნენ ჩვენს ნაბიჯებს, ჩვენს ქუჩებში რომ არ გვევლო, მოაღწია ჩვენმა ბოლომ, გასრულდა ჩვენი დღეები, დადგა ჩვენი ბოლო".

(გოდება იერემიასი, 7,18).



გურამ ჯანიაშვილი ყვება:

— დარეკეს შტაბიდან და გვიბრძანეს, ყველანი გამოვსულიყავით ალყიდან. გვითხრეს, რომ ჩვენს დასახმარებლად წამოსულია დამხმარე ძალა, მაგრამ არა იმიტომ, რომ შევინარჩუნოთ მინისტრთა საბჭოს შენობა, არამედ აქედან გამოსვლაში დასახმარებლად.

ისეთი ძალა გვიტევდა, მისი შეჩერება შეუძლებელი იყო: სოხუმში მარტო ჩვენ დავრჩით. ალბათ, ჩვენს გასამხნევებლად ბატონმა ჟიული შარტავამ გვითხრა: — ბიჭებო, ნუ გეშინიათ, დამხმარე ძალა მოვა და გამაგრდითო... თვითონ, დარწმუნებული ვიყავი, კარგად ესმოდა, რომ დარჩენა უაზრობა იყო. ამიტომაც ვუთხარი, რომ ჩვენი თავგანწირვა არა მარტო თვითმკვლელობაა, არამედ იმათი სიცოცხლეც ჩვენს კისერზე იქნებოდა, ვინც ჩვენს დასახმარებლად ბრძოლით შეეცდებოდა შემოღწევას. ვურჩიე, სასწრაფოდ გავსულიყავით შენობიდან, სანამ საბოლოოდ არ გაუმაგრებიათ ალყა.

ჩვენი საუბარი მესამე სართულზე შედგა.

ამ დროს მტერი ისე ახლოსაა მომდგარი, რომ მათი ერთი მებრძოლი შენობისწინა მოედანზე, ნაძვგლარის კვარცხლბეკთან ამოსულა და მეორეს გადასძახის: 36-я школа наша! პირველ სართულზეც ისინი არიან. ბიჭებმა „ფ-1", „ლიმონკებს" რომ ეძახიან, ჩაუყარეს იმათ. ისინიც და კვარცხლბეკთან რომ იყო, ისიც მოსპეს.

პირდაპირი დამიზნებით გვესვრის არტილერია. ცეცხლი წაეკიდა მეხუთე სართულს, იწვის მერვეც.

ასეთი იყო რეალობა და ამიტომ დამეთანხმა ბატონი ჟიული, რომ ბრძოლით გაგვერღვია ალყა და გავსულიყავით.

მოვხსენი საგუშაგოები და სასწრაფოდ დავეშვით პირველი სართულისაკენ, ფასადიდან მარჯვენა მხარეს.

მანამდე, დერეფანში რომ შევიკრიბეთ ყველა, ვინც მინისტრთა საბჭოში იყო, დაცვა ვთხოვე და ჟიული შარტავას სამუშაო ოთახში შევბრუნდი, რომ დამეთვალიერებინა რაიმე დოკუმენტი, რუკა ხომ არ გვრჩებოდა ამ სიჩქარეში და მტერს ხელთ არ ჩავარდნოდა. ვერაფერი ვიპოვე — ჟიული შარტავას თვითონ გაეკეთებინა ეს საქმე.

გამოვედი დერეფანში და ვხედავ, რომ ყველა თავ-თავიანთ ოთახებში ბრუნდება. სად მიდიხართ?! რა გითხარით და რას აკეთებთ-მეთქი, — შევუყვირე. ვილაცამ დაიძახა, რომ დამხმარე ძალა შემოსულია და ადგილებზე დაბრუნდითო, — მიპასუხეს. ამოვიღე იარაღი და მოვითხოვე, ეჩვენებინათ ის პროვოკატორი, რომელმაც ჩემი ბრძანება შეცვალა. ეს იყო ომის წესების დარღვევა და პროვოკატორი უნდა დასჯილიყო. სამწუხაროდ, ვერავის გაეგო, ვინ დაიძახა. ამით კვლავ იმის თქმა მინდა, რომ მტრის შემოგზავნილი ხალხი მინისტრთა საბჭოშიც იყო.

ერთი სიტყვით, დავეშვით პირველ სართულზე. მთავარი სადარბაზოთი გამოსვლა შეუძლებელია. დავინახე, რომ დაგვიყენეს სამი ტყვიამფრქვევი და გასვლისთანავე მიჯრით დაგვცხრილავდნენ. მარჯვენა მხარეს უნდა გვეცადა გარღვევა.

თუ გაიხსენებთ, მინისტრთა საბჭოს შენობიდან სამი მიმართულებით მიდის გზა. პირველი ზოლი ზღვისკენ ჩადის, მარჯვენა — სადგურისკენ, მარცხენა წითელი ხიდისკენ მიდის. პირველი ორი გზა მკვიდრად ჩაგვიკეტეს, მესამე მიმართულებით შედარებით ცოტანი იყვნენ. ძლიერი საცეცხლე წერტილი არ შემიმჩნევია, არიან მებრძოლები, მათთან კი ბრძოლით გასვლა შეიძლება, აბა, ომი რის ომია?!

აქ პაუზა მინდა გავაკეთო: ერთ გაზეთში დაწერეს, თითქოს ჩვენს ერთ-ერთ მებრძოლს თავის ჩვენებაში მიუთითებია, რომ გურამ ჯანიაშვილმა თქვა, ბრძოლას აზრი არა აქვსო. ჩვენი მებრძოლი — გენადი ფიცხელაური კატეგორიულად აცხადებს, რომ არაფერი მსგავსი არ დაუწერია, და უნდა ვენდოთ მას, მაგრამ ვინც ეს უაზრობა დაწერა, მას ან ბრძოლის არაფერი გაეგება, ან შეგნებულად დაამახინჯა სინამდვილე, თავის მიზანზე რომ მოერგო, ისეთნაირად.

ბრძოლას აზრი არა აქვს რომ მეთქვა, უნდა დაგვეყარა იარაღი, და ტყვედ ჩავბარებოდით. რახან ჩვენებების ენით გვიწყებენ ლაპარაკს, მეც მოწმეებს მოვიხმობ, ჩვენს მებრძოლებს, რომლებიც დაადასტურებენ, რომ როდესაც გავიდოდი (გასვლით კი პირველი მე უნდა გავსულიყავი) სავსებით რეალური იყო დავეჭერით კიდეც, ამიტომ, ჩემი ტაბელის იარაღი, „მაკაროვი" ფეხზე შევაყენე — თუ დამჭრიდნენ, თავი უნდა მომეკლა, რათა მტერს ცოცხლად არ ჩავბარებოდი, და იმიტომაც, რომ დაჭრილი მეთაურის გაყვანას ვინმე არ შეეწირა კიდევ...

კიბის ბოლოს, მარჯვნივ, დიდი შუშის კარები ბოქლომის ნაცვლად მავთულით იყო ჩარაზული. ავხსენი. ეზოში გავიხედე. არავინაა.

მომყევით-მეთქი, გავეცი ბრძანება და ყველა ჩამოვიყვანე, აბსოლუტურად ყველა.

ვხედავ, მეზობელ შენობაში (ჯანდაცვის სამინისტრო) იღება კარი და ვილაცა კაცი გვანიშნებს — აქეთ მოდით, აქ არავინ არისო. გავიქეცი მისკენ. შევედი. ჩვენი ხალხი მომყვა. პირველ სართულზე დიდი დერეფანია, ყველამ აქ მოვიყარეთ თავი. ბატონი ჟიულიც აქაა.

დერეფნის ბოლოს დიდი ფანჯარაა რკინის გისოსებით. მაგრამ გისოსები შემოგლეჯილია, ყუმბარმტყორცნია ნასროლი. გავიფიქრე, რომ წინა შენობაში არიან ჩამსხდარი აფხაზები და ელოდებიან ჩვენს აქედან გასვლას, რომ პირდაპირი დამიზნებით მოგვსპონ. თუ შენობაში დავრჩებოდით, გვესროდნენ ყუმბარას, და ჩვენი საქმე წასული იყო. ამიტომ ბრძანება გავეცი, სასწრაფოდ ყველას დაეტოვებინა შენობა.

აღმოვჩნდით პლაცის წინ. ცოტა ქვევით სკვერებია. უკვე მივუტრიალდი ჩვენს ბიჭებს (ბატონ ჟიულის დაცვის მებრძოლებს თავისი ფუნქცია ჰქონდათ), ვუთხარი, რომ ჩვენს წინ მტრის საცეცხლე წერტილებია, რომლებიც უნდა გავანადგუროთ, თორემ ამ ხალხის გაყვანა სასაკლაოზე გაყვანის ტოლფასი იქნებოდა..

შევხედე და ყველას თვალებმა მითხრეს — მე არაო!.. მესმის მათი: ნამდვილ სიკვდილზე კაცის გაგზავნას ნიშნავდა იქ ბრძოლით გასვლა. ამიტომ ვუთხარი, რომ პირველი მე წავიდოდი და გამომყვებოდა ის ოთხი კაცი, რომლებიც ყოველთვის ჩემთან ერთად იყვნენ — ვაჟა აფციაური, გივი ახავიტაშვილი, ლევან ოდიშარია და გოგა რეხვიაშვილი.

თუ ამ პლაცს არ გადავკვეთდი და გაზონებამდე არ მივაღწევდი, ისე საცეცხლე წერტების მოსპობა შეუძლებელი იქნებოდა. თანაც, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მემოქმედა.

გავიქეცი.

მარჯვნიდან რაღაცა მხვდება, მივრბივარ და თვალის კიდეთი ვხედავ, რომ მომდევს ტყვიამფრქვევის ჯერი და ტყვიებით ასხლეტილი ასფალტის ნამსხვრევები მხვდება. გამეცინა კიდეც გუნებაში: ნახევარი სანტიმეტრით რომ აეწია მიზანი, შუაზე გადამჭრიდა. სიკვდილს შევხედე თვალებში, — ნაცნობი იყო, პირველად ხომ არ ვხვდებოდით ერთმანეთს. ეს ტყვიამფრქვევი ადრე ვერ შევამჩნიეთ, რადგან შენობის გასწვრივ ერთ-ერთ სადარბაზოში იყო ჩადგმული.

გადავირბინე, ჩავჯექი, ოთხეული მომყვა, ჩემზე გადავატარე და ცეცხლი გავხსენი, აუცილებლივ უნდა მომესპო ეს ახალი, ფლანგზე ჩასაფრებული ტყვიამფრქვევი.

ბიჭებმა ორი ტყვიამფრქვევი ჩააჩუმეს, სამუდამოდ.

კიდევ სამი მებრძოლი შემოგვემატა — მურთაზ ხუციშვილი, დათო კახიაშვილი, თემურ ზაქა-

(დასასრული მე-4 გვ.)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხრ", № 52.

გამოსათხოვარი

მედეა ჯაფარიძე

ხელოვანი თავისი ქმნილებით შემოდის ჩვენ ცხოვრებაში. მსახიობი — საკუთარი პიროვნებითაც, ვინაიდან მისი ქმნილება განუყოფელია მისგან და იბადება ჩვენთან, მაყურებელთან უშუალო ურთიერთობაში. ამგვარად, ჩვენც თავისებური მონაწილენი ვართ მისი შემოქმედებისა. ალბათ ეს არის იმის მიზეზი, რომ საყვარელი მსახიობის ამ ქვეყნიდან წასვლა განსაკუთრებით მტკივნეულია.

დღეს ამ ტკივილს განვიცდით იმის გამო, რომ ჩვენთან აღარ იქნება მედეა ჯაფარიძე — განსაცვიფრებლად მშვენიერი არსება. ალბათ ასეთი ქართველი ქალები ჰყავდა მხედველობაში მე-17 საუკუნის იტალიელ პიეტრო დელა ვალეს, ირანიდან რომ წერდა თავის მეგობარს: „სიმართლე რომ ითქვას, ქართველი ქალები ყველაზე მშვენიერნი არიან მთელს აზიაში".

სილამაზე მისი ნატიფი, დახვეწილი, მუდამ და ყველგან გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. იყო მასში რაღაც კლასიკური ქართული ფრესკის მონათესავე. მაგრამ მშვენიერი იყო არა მარტო გარეგნობა მისი, არამედ ის იშვიათი სულიერი სიმდიდრე, ყველა მის სურვილსა და მისწრაფებას რომ ალავსებდა. მედეა ჯაფარიძის გარეგნული მშვენიერება განუყოფელი იყო მისივე სულიერი სამყაროსაგან, პირადი სათნოებისა და სიწმინდისაგან. ასეთი მშვენიერება უფრო მაღლა დგას, ვიდრე ვერაგობა, მზაკვრობა და ყოველნაირი სიბოროტე. ვერ სპობს ბოროტი კეთილს.

ძლიერი იყო იგი, რადგან ცხოვრობდა სიკეთის ქმნის წყურვილით. მოთხოვნილებად ჰქონდა ქცეული, რომ გაელო სხვისთვის: მოესმინა, ეთანაგრძნო, მოფერებოდა, მიხმარებოდა... მუდამ ეცალა იმისთვის, ვისაც სჭირდებოდა, წარმოუდგენლად რთულიც რომ ყოფილიყო ეს საჭიროება. შეუნელებელი იყო ადამიანებისადმი მისი ინტერესი და ყურადღება. ამ დიდ ზნეობრივ მოთხოვნილებას ცხოვრების ნორმად მიიჩნევდა. დიდი ძალაა ამგვარი ნორმა.

დრამატული თეატრის მსახიობის ხელოვნება თავისი ბუნებით არის ტრაგიკული იმის გამო, რომ ქმნილება და შემქმნელი ერთად ქრებიან. ეკრანზე შექმნილი სახე კინოს ეკუთვნის. მედეა ჯაფარიძის ეკრანული სახეები მისი შემოქმედების მკრთალი ანარეკლია მხოლოდ — არ იყო გულუხვი მის მიმართ ქართული კინო! მაგრამ პირმშვენიერებას მისას მაინც ეკრანი შემოუნახავს იმათ, ვისაც არ ხვდა წილად ბედნიერება სცენაზე ენახა მედეა ჯაფარიძე. რაც შეეხება თეატრს, სადაც დაიბადა მისი ჯულიეტა, პრიჭინა, გულსუნდა, მარტა-იზაბელა, იოკასტე, ელიზა, ირინე, კაროლინა, ანა ფრანკი, გულქანა, კლეოპატრა და კიდევ მრავალი სხვა, — თეატრი, მისი მაყურებელი ლეგენდად შემოინახავს მის სახელს იმ ხსოვნის სასწაულით, იმ ძალით, მხოლოდ მაყურებლის სიყვარულს რომ შესწევს.

მედეა ჯაფარიძის გმირებს განსხვავებულად, მაგრამ უთუოდ შემოჰქონდათ სცენაზე სინათლის სხივი. წლების მანძილზე ეს სხივი მაყურებელში სიკეთის საწყისს აღვივებდა. მაშასადამე, სულიერად აფაქიზებდა, მოყვასისადმი წრფელ სიყვარულს უნერგავდა. ამ სხივით იყო განათებული თვით პიროვნება მედეა ჯაფარიძისა და ამიტომაც თან სდევდა მას ყველგან. თვითონ იყო გულღია და ნათელი, მუდამ რომ შეეძლო თვალი გაესწორებინა ნებისმიერი ადამიანისთვის.

ეს გმირები აქტიური, მოუსვენარი ადამიანები იყვნენ, ყოველი მათგანი თავისებური იყო, ჰქონდა სხვისი არამსგავსი ხასიათი, საკუთარი გზა ცხოვრებაში, საკუთარი იღბალი და განსხვავებული შესაძლებლობები. ამ შესაძლებლობათა შესაბამისად იღვწოდა თავისი იდეალებისათვის იმ რწმენით, რომ ეს იდეალი ჭეშმარიტია. ამავე დროს, ყოველი მათგანი ცხოვრების მშვენიერების შეგრძნებით იყო მოსილი და თვით მედეას ღიმილით გასხივოსნებული. ცხოვრების ყოველდღიურობაზე ამაღლება სურდათ. ყოველ გმირში ამ უნარს ეძებდა მსახიობი, თუნდაც მცირესა და მიმალულს. ეს მედეა ჯაფარიძის ქმნილებებს განსაკუთრებულ პოეტურობას ანიჭებდა. გულის ამაჩუყებელს არ ესწრაფვოდა. მიაჩნდა, რომ მთავარია საჭირო იყო სხვისთვის, შეგძლოს გასცე ადამიანებს შენი პასუხი იმაზე, რაც დღეს მათ აღელვებთ. მზად იყო ეტვირთა სოციალური პასუხისმგებლობა შემოქმედისა ყველაფრის გამო და ეთქვა თავისი სათქმელი მსახიობის ხელოვნებით — გმირის სცენური სიცოცხლის სიღრმივე განცდით. პროფესია თითქოს ამგვარ ვალდებულებას არ აკისრებდა. ის თვითონ აკისრებდა თავის თავს მოქალაქეობრივ ვალდებულებას, რადგან დაუსრულებლად გრძნობდა ამის მოთხოვნილებას. პიროვნება იყო იგი პირველ ყოვლისა და ამის გამო საკუთარი თავის მიმართ ყველაზე მეტად მომთხოვნი. ასე იყო მუდამ. არასოდეს ცდილა მაყურებლის გართობას, პირიქით, სურდა მასში აღეძრა ფიქრი, გრძნობა, არ მიეცა საშუალება ყოფილიყო ცხოვრების გულმშვიდი მეთვალყურე. გულიდან გულისკენ მიმართულ გზას ეძებდა და აგნებდა კიდეც.

რთული იყო ის დრო, რომელშიც მედეა ჯაფარიძემ იცხოვრა, მრავალნაირად რთული. ყველა სირთულეს უმკლავდებოდა მშვენიერი მისი სული, რადგან სიკეთით იყო იგი ალსავსე და ადამიანისადმი სიყვარულით. ამ ძალის მომრევი ქვეყნად ჯერ არ დაბადებულა. მედეა ჯაფარიძის ცხოვრებაა ამის უტყუარი საბუთი — უკომპრომისო, უსაზღვრო კეთილსინდისიერ[illegible] — [illegible].

მიდიოდა დრო, ყველაფერი იცვლებოდა: საჭირბოროტო პრობლემები, თეატრალური ტენდენციები, მაყურებლისა და თვით ხელოვანის გემოვნება, სულიერი და ფიზიკური ძალები... თანდათან ჩნდებოდა ის ცარიელი ადგილები, რომლებსაც ყველა მსახიობი ითვლის ხოლმე მისი შემოქმედების ამსახველ „რუკაზე" ცხოვრების მეორე ნახევარში... ამ დროს ყველას წინაშე წამოიჭრება აუცილებლობა იმასთან განშორებისა, რასაც ის შეეჩვია წლების, ზოგჯერ ათეული წლების მანძილზე და ასე ძვირფასია მისთვის... მედეა ჯაფარიძისთვისაც დადგა ეს დრო... რამდენჯერ ეტკინა გული. რამდენი სურვილის ხორცშესხმა ვერ მოასწრო, რამდენი ოცნება დარჩა განუხორციელებელი...

შეიძლება ვინმეს მიაჩნია, რომ [illegible] ძველმოდურია სულიერი ძალების უანგარიშო ხარჯვა და რომანტიკული აღმაფრენა. იქნებ ეს, მართლაც, ასეა, მაგრამ რას იზამ — მედეა ჯაფარიძის, როგორც ადამიანისა და შემოქმედის მომხიბვლელობა სწორედ ამაში იყო. ხოლო თუ ჩვენ აჩქარებულ, სასტიკსა და დაუნდობელ თანადროულობაში, სადაც ადამიანებს ერთმანეთისთვის აღარ სცალიათ, მედეა ჯაფარიძისთანა ადამიანსა და ხელოვანს ვინმე არ ჩათვლის დღევანდელი მსახიობის ნიმუშად, მაშინ ის უთუოდ მიიჩნევს მას იმ გუშინდელ დღედ, რომელთან განშორებასაც ყველა განიცდის. ვერც სიკეთეს, ვერც რომანტიკას ვერ შეელევა ადამიანი.

მედეა ჯაფარიძე არ იყო მხოლოდ მშვენიერი მსახიობი და სრულქმნილი არსება. მისი ცხოვრება ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან ერთად ჩვენ ვეთხოვებით საკუთარი ცხოვრების იმ მშვენიერ წუთებსაც, ამ მსახიობთან შეხვედრებმა რომ მოგვანიჭა. ეს იყო ნათელი, ამაღლებული წუთები. მათი დავიწყება არ შეიძლება.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, შ. გოგუაძე, ა. აბაშიძე, რ. ბერიძე, ვ. რჩეულიშვილი, ი. მენაღარიშვილი, ნ. ლეკიშვილი, შ. ერქვანია, დ. მაღრაძე, თ. კვაჭანტირაძე, ა. გოცელია, ე. ამაშუკელი, ლ. ბოკერია, გ. ლორთქიფანიძე, ს. ნასიძე, გ. ფანჯიკიძე, ე. შენგელაია, ი. ანდრიაძე, დ. ანდღულაძე, ზ. ანჯაფარიძე, მ. ბარათაშვილი, ა. ბაქრაძე, ვ. ბერიძე, გ. გაბუნია, გ. გეგეჭკორი, ე. გუგუშვილი, მ. თუმანიშვილი, ლ. იოსელიანი, ჯ. იოსელიანი, ა. კალანდაძე, ჯ. კახიძე, ვ. კიკნაძე, მ. კობახიძე, მ. კუჭუხიძე, ვ. ლორთქიფანიძე, კ. მახარაძე, ე. მაღალაშვილი, ო. მელვინეთუხუცესი, გ. ჟორდანია, რ. სტურუა, ვ. ტაბლიაშვილი, ნ. ურუშაძე, ნ. ქანთარია, ს. ქეცბა, ე. ყიფშიძე, მ. ჩახავა, რ. ჩხეიძე, თ. ჩხეიძე, რ. ჩხიკვაძე, ა. ძიძიგური, ს. ჭიაურელი, დ. ჭიჭინაძე.

გამორჩეული ტალანტი

გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი, გამოჩენილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე, უმშვენიერესი მანდილოსანი **მედეა ჯაფარიძე.**

იშვიათი გარეგნობითა და ნიჭით დააჯილდოვა განგებამ ქალბატონი მედეა, თან კაცთმოყვარეობისა და სიკეთის თესვის მადლიც მოჰფინა. ის იყო ჰარმონიული პიროვნება, მთელი არსებით შეყვარებული თეატრში, უანგარო მსახური თავისი სამშობლოსი, რასაც თან ახლდა ზნეობრივი სისპეტაკე, შინაგანი ნათელი, თავგანწირვამდე მისული ერთგულება.

გამორჩეული ტალანტი, არაჩვეულებრივი ემოციურობა, ინტელექტი, სხივმფენი სულიერება, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მომხიბვლელი პლასტიკა, უშუალო იუმორი; მისი მსახიობური პალიტრის ყველა ეს თვისება გარდასახვის ოსტატობის საოცარი გამოვლინება იყო.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მედეა ჯაფარიძე თავისი შემოქმედებითი სიცოცხლით სილამაზეს მატებდა ქართულ თეატრალურ და კინოხელოვნებას. ერთი შეხედვით, მისი ცხოვრების გზა თითქოს ფიანდაზებით იყო მოფენილი, სულის ისეთ სიმხნევეს აფრქვევდა იგი ყოველთვის გარშემო მყოფთ, მაგრამ რამდენი დაუმსახურებელი გულსატკენი შეხვედრია ჩვენი ყოფის აფორიაქებულ დროში ადამიანს, რომელიც მოყვასის სიყვარულისთვის იყო დაბადებული.

სამწუხაროდ, გასრულდა მედეა ჯაფარიძის მშვენიერი ცხოვრების სავალი გზა და ისტორიის კუთვნილებად იქცა მისი მრავალი სცენური თუ ეკრანული სახე. მათ შორის განსაკუთრებით ბრწყინავენ: გულსუნდა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"), კაროლინა (დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"), გულქანა (პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალი"), მარინე (მარიკა ბარათაშვილის „პრიჭინა"), ნუცა (კოტე ბუაჩიძის „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე"), ნინო (ლაშა თაბუკაშვილის „ძველი ვალსი"), ჯულიეტა (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა"), ელიზა დულიტლი და კლეოპატრა (ბერნარდ შოუს „პიგმალიონი" და „ცეზარი და კლეოპატრა"), მარტა-იზაბელა (კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან") და მრავალი სხვა. ეკრანული სახეებიდან დღემდე სილამაზისა და სინატიფის ხატად რჩება მისი განუმეორებელი ქეთო ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმში „ქეთო და კოტე".

მედეა ჯაფარიძე ყველგან უდიდესი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა და თვითონაც უხვად გასცემდა თავისი გულის სითბოს. ამის დასტურია, პოეზიის ის მრავალი საღამო, ჩვენშიც, რუსეთსა და უკრაინაშიც, რომლის ავტორი და შემსრულებელი თავად გახლდათ. დაუვიწყარია მისი ზეპირი მოგონებები ბორის პასტერნაკზე, ტიციან ტაბიძეზე, პაოლო იაშვილზე... განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა მედეა ჯაფარიძე მოსკოვში, რომლის თეატრალურ სცენებზე მას პარტნიორობას უწევდნენ თანამედროვეობის გამოჩენილი ოსტატები — როსტისლავ პლიატი და მიხეილ ულიანოვი.

მედეა ჯაფარიძე უჩუმრად, მოკრძალებით, მაგრამ საოცარი მასშტაბურობით იღვწოდა საზოგადოებრივ სარბიელზე და ადამიანებისთვის მუდამ შველა მოჰქონდა. მისი ოჯახი, მეუღლე — დაუვიწყარი რეზო თაბუკაშვილი, სათნოების სავანედ აღიქმებოდა ქართველი ხალხის ცნობიერებაში და რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ დღეს ჩვენ მათზე წარსულში ვლაპარაკობთ.

წლევანდელ გაზაფხულს ერთი გამორჩეული ფერი დააკლდა — კეთილშობილება, გაუხუნარი სილამაზე, თან წაჰყვა მას, ქართველი ერის სიამაყეს, რომლის ხსოვნის წინაშეც მოწიწებით ვხრით თავს.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

ანგელოზს ჰგავდი...

ჩემო მედიკო, როგორ დავიწყო, რა გითხრა, ჩემო კარგო, როგორ მოვეფერო 55 წლის მეგობრობას, ერთ [illegible] ცხოვრებას როგორ გამოვეთხოვო, მასწავლე, ჩემო კარგო, როგორ შევეგუო უშენობას? როგორ გვიხაროდა ერთად ყოფნა, როგორ გვიხაროდა ერთმანეთის წარმატებები. მახსოვს, პატარა ლაშიკოს რომ ჩავიწვენდით შუაში და ხანდახან, როცა გიბრაზდებოდა, ჩემსკენ გადმობრუნდებოდა — ეს არის ჩემი დედიკო... პირველი კინოფესტივალის სიხარულიც მახსოვს, ცხონებულ ნინო ქვანიას წყალობით — ორ-ორი საღამოს კაბა უფასოდ რომ მოგვართვეს. მახსენდება ის მიღებაც, როცა გვესტუმრა ელიოტ რუზველტი მეუღლითურთ — მაშინ კი ქალბატონ ნადია ხარაძისგან ვინათხოვრეთ კაბები. შენი საყვარელი დედიკო, დიდა ვერა, როგორ თანაბრად გვიყოფდა ერბოკვერცხს, როგორ გვეპყრობოდა ყველანაირად, მაგრამ რა ბედნიერები ვიყავით იმიტომ, რომ ახალგაზრდობა იყო, ბევრი სიხარული და ბევრი გულის ტკივილიც — ეს თეატრსა და კინოში ჩვეულებრივი მოვლენაა.

სადაც უნდა ყოფილიყავი, სცენაზე, ქუჩაში, სახლში, ყველგან თან გდევდა ანგელოზური სიკეთის, სიწმინდის, სილამაზის სხივი. წასულიც კი მუდამ ჩემთან იქნები, სანამ მეც... წადი, ჩემო ძვირფასო, შენს დიდ რეზოსთან, მას, ალბათ, უშენოდ უჭირს. გიყურებდით, ვხარობდით ღვთაებრივ მშვენებას ღვთაებრივი ნიჭის ვაჟკაცი გყავდა მცველად და მოამაგედ, ბედნიერი იყავ, მაგრამ რა ტკბილი და რა მწარეა წუთისოფელი! შენ არ შეგეძლო დაგეთმო ეს უდიდესი სიყვარული, ბედნიერება და უიმისობა. ცხოვრება ულმობელია. ჩვენ და საქართველოს, ბედნიერება [illegible]

რა მწარედ გან[illegible] თავზე დატეხილი [illegible] ედურებას, [illegible] ლი ხომ ისევ ჩვენი ტკივილია. ყველაფერს ერთად ვეღარ გაუძლო შენმა კეთილშობილმა სულმა, ღმერთო, როგორ სჭირდება დღეს საქართველოს შენისთანა სახემშვენიერი, სულით ამაღლებული და გონებანათელი მანდილოსნები... ანგელოზს ჰგავდი და ანგელოზივით გაგვიფრინდი მარადიულობაში.

მარად შენთან განშორებით გულჩაწყვეტილი

დოდო ჭიჭინაძე.

თქვენი სინათლე იღვრებოდა სცენიდან

ჩემს ბავშვობაში გაიელვა თქვენმა მშვენიერმა სახემ ეკრანზე და მას შემდეგ, მუდამ არსებობდით თქვენ — სილამაზისა და მშვენიერების ცოცხალი ხატი. დადიოდით ქუჩებში და მოგვყვებოდათ აღტაცებული ჩურჩული „მედეა ჯაფარიძე!". თქვენ არ იყავით უბრალოდ ლამაზი, თქვენ მშვენიერი იყავით, ქალბატონო მედეა! როცა თქვენ ჯულიეტა აივანზე გამოდიოდით, თქვენი სილამაზით აღფრთოვანებულ დარბაზს სული ეხუთებოდა. ვასო გოძიაშვილი — რიჩარდი და თქვენ — დედოფალი ანა, სერგო ზაქარიაძე — ჰიგინსი და თქვენ — ელიზა დულიტლი, ვერიკო ანჯაფარიძე და თქვენ ერთად სპექტაკლში: „ხეები ზეზეურად კვდებიან". თქვენ ვარსკვლავების გვერდით იდექით და თქვენი სინათლე იღვრებოდა სცენიდან.

მაგრამ ახლა, განშორების ამ მძიმე წუთებში, მე თქვენს შინაგან მშვენიერებაზე მინდა საუბარი. მე თქვენთან საათობით ყოფნის ბედნიერება მქონია, თანადგომა და თანაგრძნობა მიმიღია ჩემი ცხოვრების უმძიმეს წლებში, მინახავს, როგორ მოდიოდნენ სრულიად უცნობი ადამიანები თქვენთან, გთხოვდნენ დახმარებას და უშურველად ხარჯავდით ძალას, დადიოდით მაღალ კაბინეტებში გაჭირვებულთა შემწედ და ქომაგად. ერთიც იყო — ყველა კარი იღებოდა თქვენთვის, მშვენიერებას აქვს უნარი ყველა დახშული კარის გახსნისა.

თქვენი მშვენიერი სახე — როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა „ქართული რასის" მიერ საუკუნეებში იყო გამოძერწილი, მშვენიერი სული კი სიკეთით და სინათლით, ქალურობითა და კდემამოსილებით ანათებდა.

ათწლეულები ჩაიარა. წლები ვერაფერს გაკლებდათ, თქვენს სილამაზეს ვერ ეხებოდა, რადგან სული გქონდათ წმინდა და კეთილი.

მე თქვენ ძალიან მიყვარდით, ქალბატონო მედეა! ძალიან მიჭირს თქვენთან დამშვიდობება.

თქვენი სილამაზის შესახებ აქ, დედამიწაზე ლეგენდა დარჩება, ხოლო იქ, ზეციურ საქართველოში, თქვენგან ქმნილი უამრავი კეთილი საქმე გაგინათებთ გზას.

რუსუდან ბერიძე.

ნათლის საქმად

სრულიად საქართველოს, თბილისს, ქართულ ხელოვნებას და ჩვენს საზოგადოებას — „თბილისელის" ქალთა საკრებულოს გამოაკლდა კეთილშობილებით, სილამაზითა და სათნოებით [illegible] სათნოებით [illegible] შერწყმული იყო შინაგანი სიმტკიცე, მამულიშვილური შემართება და მოქალაქეობრიობა. არასოდეს დაგვავიწყდება, როგორ მოვიდა უკვე სნეული ქალბატონი მედეა საზოგადოება „თბილისელში" და ერთერ[illegible] ველმა ხელი მოაწერა [illegible] ველოს ქალებისადმი მიმართვას, რათა სამშობლოს გაჭირვების ჟამს შექმნილიყო ოქროს ფონდი. მან თითიდან წაიძრო ოქროს საქორწინო ბეჭედი, რომელსაც ატარებდა თავისი გაბედნიერების დღიდან, განსვენებული მეუღლის — გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რეზო თაბუკაშვილისადმი სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად. [illegible] მიელო მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმეში.

რაოდენ მტკივნეულია, როცა [illegible] ლის სვეტად მუდამ დარჩება ამ სახელოვანი ქალის სულიერი და გარეგნული მშვენიერება.

საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საქართველოს დელეგაცია სოფიაში

სოფია, 4 აპრილი. (იტარ-ტასი-საქინფორმი). სოფიაში ჩამოვიდა საქართველოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება. ვიზიტის მთავარი მიზანი ის არის, რომ დელეგაციამ გამართოს კონსულტაციები ბულგარეთის პარლამენტარებთან ორი ქვეყნის ურთიერთობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი საფუძვლების ფორმირების შესახებ. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა აგრეთვე შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში ურთიერთმოქმედების განხილვას. როგორც ცნობილია, გასული წლის დამლევს სოფიაში გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. მორიგი ასეთი ფორუმი გაიმართება თბილისში. ამიტომ ამგვარ ღონისძიებათა მოწყობაში ბულგარელი კოლეგების გამოცდილება სასარგებლო იქნება ქართული მხარისათვის.

დელეგაცია მოლაპარაკებას გამართავს ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სტანისლავ დასკალოვთან. მას მიიღებენ ბულგარეთის სხვა ხელმძღვანელები. როგორც მ. უკლებამ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი საქართველოს ლიდერის ედუარდ შევარდნაძის წერილს გადასცემს ქვეყნის პრეზიდენტს ჟელიუ ჟელევს.

შეხვედრა კრემლში

გუშინ პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით მყოფ გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის. განიხილეს აქტუალური მსოფლიო პრობლემები, რუსეთისა და გაეროს თანამოქმედება მათი გადაწყვეტისათვის. უფრო ადრე გაიმართა ბუტროს ბუტროს გალის მოლაპარაკება რუსეთის თავდაცვის მინისტრ პაველ გრაჩოვთან, რომელმაც გენერალურ მდივანთან ერთად განიხილა რუსეთის ჯარების მონაწილეობის პერსპექტივები სამშვიდობო ოპერაციებში გაეროს ეგიდით. ბუტროს გალიმ მადლობა გადაუხადა რუსეთის მთავრობასა და ხალხს იმ წვლილისათვის, რომელიც შეაქვთ ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტის მოწესრიგებაში და ბოსნია-ჰერცეგოვინაში დამატებით კონტინგენტის (300 სამხედრო მოსამსახურე) გაგზავნისათვის.

რუსეთ-ესტონეთის მოლაპარაკება

ხვალ მოსკოვში იწყება რუსეთ-ესტონეთის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ვასილი სვირინის განცხადებით, განიხილავენ რუს სამხედრო პენსიონერთა სოციალური გარანტიების და ესტონეთის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებულ საკითხებს. ერთი თვის წინ გამართულ რაუნდზე მხარეებმა ვერ შეძლეს ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. ამავე დროს ლატვიასთან ამას წინათ მიღწეულ იქნა შეთანხმება რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების 31 აგვისტომდე გაყვანის შესახებ. რაც შეეხება ლიტვას, იქიდან ჯარები უკვე გაყვანილია.

ორდღიან ვიზიტად

გუშინ მოსკოვში ორდღიან ვიზიტად ჩავიდა ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვაცლავ კლაუსი. მას მიიღებს პრეზიდენტი ბორის ელცინი. კლაუსი მოლაპარაკებას გამართავს რუსეთის მთავრობის მეთაურთან ვიქტორ ჩერნომირდინთან. მთავარი საკითხი იქნება ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. შეეხებიან აგრეთვე რუსეთის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩეხეთისათვის დავალიანების დაფარვის გზებს. რუსეთი აპირებს ეს დავალიანება ნავთობის ექსპორტით დაფაროს.

მნიშვნელოვანია რუსეთთან თანამშრომლობა

გრძელდება საერთაშორისო დაძაბულობა, რაც გამოიწვია ცნობებმა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის შესახებ. სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხან სინ ჩუმ მიუთითა ამ კრიზისის გადასაწყვეტად რუსეთთან თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობაზე. ეს მან განაცხადა ტოკიოში იაპონიის პრემიერ-მინისტრ მორიხირო ხოსოკავასთან შეხვედრაზე. მხარეებმა დაადასტურეს გადაწყვეტილება მიაღწიონ ჩრდილოეთ კორეის თანხმობას დაუშვას საერთაშორისო ინსპექტორები თავის ყველა ბირთვულ ობიექტზე. ამავე დროს ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადანაშაულა გაეროს უშიშროების საბჭო ჩრდილოეთ კორეის მიმართ „[illegible] პოლიტიკის" გატარებაში. სამინისტროს მტკიცებით, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ობიექტების ინსპექცია, რომელიც გასულ თვეში ჩაატარა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ, საკმარისი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა უილიამ პერიმ ხაზგასმით განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ დაუშვებს ჩრდილოეთ კორეის მხრივ ბირთვული იარაღის შექმნას.

მემარცხენე ძალების კოალიცია

ყაზახეთში ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა და მოძრაობებმა შექმნეს მემარცხენე ძალების კოალიცია სახელწოდებით „რესპუბლიკა". კოალიციის შექმნის ინიციატორია რესპუბლიკაში პოლიტიკურ პარტიებს შორის რიცხობრივად მეორე ადგილზე მყოფი სოციალისტური პარტია. შეთანხმებას კოალიციის პრინციპების შესახებ ხელი მოაწერეს კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, რესპუბლიკელების, მწვანეების ლიდერებმა. მრავალპარტიული ბლოკის მთავარი მიზანია დაუპირისპირდეს პრეზიდენტისეულ კავშირს „ყაზახეთის სახალხო ერთიანობას" და მოემზადოს 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის.

მოლაპარაკება ნალჩიკში

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვს სასწრაფოდ გაემგზავრნენ ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რუსლან აუშევი და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ახსარბეკ გალაზოვი, ორივე რესპუბლიკის დელეგაციების მოლაპარაკება ნალჩიკში 8 აპრილს შეწყდა. მოლაპარაკება კვლავ განახლდება 13-14 აპრილს ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე. ნალჩიკში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ ხანგრძლივი დისკუსიისა და განხილვის შემდეგ მხარეებმა მიიღეს ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ორივე მხარის პოზიციებს და რომელშიც ჩამოყალიბებულია ოსურ-ინგუშური კონფლიქტის გადაწყვეტის პრინციპები.

ინფორმაცია

მატარებლებმა მიმოსვლა განაახლეს

3 აპრილს რამდენიმე დღის გაფიცვის შემდეგ რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის მემანქანეებმა მუშაობა განაახლეს. მათ მოთხოვნებს ეკონომიკური ხასიათი ჰქონდა და გამოწვეული იყო ქართული კუპონის კურსის მკვეთრი დაცემით, რაც მათი აზრით, გამოწვეულია მაფიოზური წრეების მოქმედების შედეგად.

— მემანქანეებს გავუზრდით ხელფასს, — თქვა საინფორმის კორესპონდენტთან თენგიზ ჩხაკვაძესთან საუბარში დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან ცაშაკიძემ. — ამის გარდა, გავაფართოვებთ პროდუქტების ასორტიმენტს, რომლებსაც კუპონებით, იაფად, ყიდულობენ ხოლმე ორი თვის მანძილზე. ამასთან, ამ საქონლის ღირებულებას სისტემატურად შევამცირებთ. უახლოეს ხანში კი დეპარტამენტს გადაწყვეტილი აქვს მთლიანად აანაზღაუროს თვე.

მეტრო ამუშავდა

თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეთა პირველ აპრილს დაწყებული გაფიცვა ორი დღის შემდეგ დამთავრდა. გაფიცვა მათ აიძულა ქართული კუპონის უკიდურესად სწრაფმა გაუფასურებამ. ეს საინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხაკვაძეს აცნობა მეტროპოლიტენის მთავარმა ინჟინერმა ჯონდო ჯინჭარაძემ.

— მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, — თქვა მან, — მემანქანეებმა მუშაობა განაახლეს. თავის მხრივ, მთავრობა შეპირდა, რომ ხელფასს გაუზრდის (ძირითადად კუპონებით), გააფართოებს პროდუქტების ასორტიმენტს, რომლებსაც იაფად იღებენ, აგრეთვე მოამარაგებს ჰუმანიტარული დახმარების მეშვეობით მიღებული სხვადასხვა მედიკამენტებით.

მოკლეს ფირმა „მარტენის" თანამშრომელი

საინფორმის კორესპონდენტის ცნობით, რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს ტერიტორიაზე დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა ფირმა „მარტენის" [illegible] ა. პარასტაშვილი, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მიმდინარეობს გამოძიება.

ხანძარი ტერენტი გრანელის ქუჩაზე

1 აპრილს, თბილისში, საღამოს 22 საათსა და 12 წუთზე ტერენტი გრანელის ქუჩაზე საბავშვო ბაღს ცეცხლი გაუჩნდა. ხანძრის შედეგად დაიწვა შენობის მეორე სართული და სახურავი. ცეცხლი მოედო აგრეთვე იქვე მდებარე საკანცელარიო ქაღალდის ფაბრიკის შენობას.

შემთხვევის ადგილზე მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო პოლიციის 7 სახანძრო მანქანა. ცეცხლი 23 საათსა და 50 წუთზე ჩააქრეს.

ხანძრით მიყენებული ზარალი დგინდება.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის სამხედრო დაჯგუფების კადრების განყოფილების უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ვლადიმერ მალინინმა განაცხადა, რომ საქართველოში რუსეთის [illegible] სამი სამხედრო ბაზის შექმნა [illegible] ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ მეტროს მემანქანეებმა შეწყვიტეს გაფიცვა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად, ამ [illegible] გაფიცვა არ არის კანონსაწინააღმდეგო აქტი, მაგრამ, როცა იგი [illegible] ტია. მეტროს მემანქანეების გაფიცვის [illegible] ადგილი ჰქონდა ამგვარ ქმედებას, როცა გაფიცულთა ერთი ნაწილი ხელს უშლიდა მეორეს, არ უშვებდა სამუშაოდ.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

93-ის 27 სექტემბერი

(დასასრული)

რაძე. ესენიც წინა ოთხთან გადავუშვი. 8 კაცი უკვე ძალაა. ყველამ გახსნა მასირებული ცეცხლი — მესამე ტყვიამფრქვევიც მოსპეს.

მაგრამ ეს არ ჩერდება, — ფლანგზე, სადარბაზოშია შემალული, იქიდან ისვრის. ბოლოს, კიდევ რომ გამიხსნა ცეცხლი, ჩავაჩუმე ჩემი ავტომატი. მცირე ყოვნი. ეტყობა იფიქრა, მოვკალი და ტყვიამფრქვევი გარეთ გამოდგა. ეს იყო, რასაც ველოდი: ვისროლე და უკან რომ გადავარდა, დავინახე შიშველი მუხლები — ქალი იყო. ჰყავდათ მათ ბოევიკი ქალები...

მტერი კიდევ სად არის ჩასაფრებული, არ ვიცით. სროლით წავიწიეთ წინ, ბავშვთა მეორე საავადმყოფომდე. არავინ იყო. ჩვენი შეტევის შემდეგ ეს მიმართულება, რომელიც ისედაც სუსტი იყო, გაიხსნა ხალხის გასაყვანად, შეიქმნა პრაქტიკულად უხიფათო დერეფანი.

დავიკავეთ პოზიცია, დაცარიელებული მჭიდეების შევსება დავიწყეთ და ველოდებით, როდის გადმოვლენ დანარჩენები. შემდეგ გავიგებთ, რომ ამ მცირე პაუზის დროს საკმარისი გახდა ყუმბარმტყორცნის ერთადერთი გასროლა (ფაქტობრივად არავინ დაზიანებულა), რომ ვიღაცას დაეძახა — იგენი ჩახოცეს, ვერ გავალთო! სამწუხაროდ, დაიჯერეს. დაცვას განუცხადებია (ბატონი ჟიულის აზრიც ასეთი ყოფილა), რომ თუ ვერ გავალთ, მაშინ სჯობს შენობას შევაფაროთ თავი, და ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს მიერ გაკეთებული დერეფნით წამოსულიყვნენ, შეტრიალდნენ და მინისტრთა საბჭოში დაბრუნდნენ. ეს უკვე თვითმკვლელობა იყო. შენობიდან მათი გამოყვანა, შეიძლება ითქვას, გადარჩენის 70 პროცენტი იყო.

ალბათ, ბევრის მაინტერესებელია, რომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი გასვიანმა ეს დერეფანი აუჩქარებელი ნაბიჯით გამოიარა, და თმის ერთი ღერიც არ ჩამოვარდნია, არავის უსვრია, არც თვითონ დასჭირებია სროლა. 5 წუთში იმ 200 მეტრის გავლას ყველა შეძლებდა და აბსოლუტურად ყველა გადარჩებოდა...

გავავსეთ მჭიდეები და გადავედით მეორე ქუჩაზე. გზაჯვარედინიდან ვხედავთ, რომ ზემო გზაჯვარედინზე ვიღაცეები გადმორბიან. დავუქნიე ხელი, იმათაც მაიშნეს — მოვდივართო. მართალი გითხრათ, ზუსტად ვერ გავარკვიე, ჩვენები იყვნენ თუ არა, მაგრამ დავინახე, რომ წითელი ხიდისკენ მოდიოდნენ და სავარაუდო იყო, რომ ჩვენები იქნებოდნენ.

გადავწიეთ და გავედით წითელ ხიდამდე. ჯგუფად გადასვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამიტომ, ჩვენები მოფარებულ ადგილზე დავმალე და თითოთითოდ დავიწყეთ გადარბენა — თითო კაცს ყუმბარებს არ დაგვიშენდნენ, ტყვიას კი იქ არ ისროდნენ. გადავწიეთ მეორე მხარეს.

სანამ საფარში ვიყავით, ჩვენი თვალით ვხედავდით, როგორ მოადგა ხიდს ჩვენს დასახმარებლად გამოგზავნილი ტანკები, როგორ ესროდნენ მტერს, მაგრამ, როგორც გითხარით, მათი გადმოსვლის მცდელობა თვითმკვლელობა იქნებოდა: ჩვენ რომ მინისტრთა საბჭოსთან რკალი გავარღვიეთ და გამოვედით, მტერმა, ეტყობა, განსაზღვრა, რომ წითელი ხიდისკენ გავიჭრებოდით და სწორედ აქ მოახდინა თავისი ცეცხლის კონცენტრაცია. ალყა სასწრაფოდ გაამაგრეს, თან იმდენი ძალა გადაისროლეს, რომ ჩვენი უკან დაბრუნება გამოირიცხა.

ხაზს ვუსვამ, — უკან დაბრუნება გამოირიცხა, სათითაოდ ჩიტებივით დაგვხოცავდნენ. მხოლოდ — წინ და ისიც სასწრაფოდ, სანამ წითელ ხიდს მტრის ცოცხალი ძალა მოადგებოდა.

ჩემი გადაწყვეტილება სწორი გამოდგა. რისკი ძალიან დიდი იყო, მაგრამ სხვა გზა არ არსებობდა, და, საბოლოოდ, — გაგვიმართლა.

— სულ რამდენი კაცი გამოხვედით?

— 13. ზაზა მუშკუდიანი, გიორგი ოსიტაშვილი და შოთა ქობელაშვილი ზღვის ნაპირით გამოვიდნენ და წითელი ხიდის იქით შემოგვიერთდნენ, ავთო ბერიშვილი და ზურაბ ყენიშვილი — კელასურში, ჰოსპიტალში შეგვხვდნენ.

— აკაკი გასვიანი ამ 13-ში ითვლება?

— არა. მე ჩვენი მებრძოლები მყავს მხედველობაში.

ორნი, შემდეგ რომ შემოგვიმატნენ, მინისტრთა საბჭოს შენობაში შებრუნებულან სხვებთან ერთად. ისინი ყვებიან, თუ როგორ მოუქცევიათ აფხაზებს ალყაში, როგორ დაუდევიათ იარაღი, აფხაზები ასულან მესამე სართულზე და ჩვენების ქვემოთ ჩამოსვლა მოუთხოვიათ, როგორ უთქვამს ბატონ ჟიულის, რომ თვითონ ჩავიდოდა მოსალაპარაკებლად — როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს ხელს არავინ მახლებსო. მაგრამ ჩასვლა იყო და დარევიან ამ უიარაღო ხალხს, ურტყეს თურმე გამეტებით, ვინც ვერ ადგა, ესროლეს, დანარჩენები მანქანაში შეაგდეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ზოგი დახვრიტეს, ზოგი ტყვედ არის, ალბათ. მე მაინც იმედი მაქვს, რომ ბევრმა ჩვენიანმა გააღწია იმ დერეფნით, რომელიც ჩვენ გავხსენით.

ვარაუდია ეს, მაგრამ შესაძლებელია.

ქართველების წამებაში განსაკუთრებით აქტიურობდა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი. შედარებით ნაკლებ აქტიურები იყვნენ აფხაზები, ჩეჩნები კი საერთოდ არ მონაწილეობდნენ დახვრეტებში.

ერთი ამბავიც მინდა გითხრათ. ზღვის მხრიდან ჩვენი მებრძოლები რომ გამოდიოდნენ, ერთი ფეხში დაიჭრა. იქვე მოსახლე რუსმა ქალმა, რომელსაც ქმარი აფხაზი ჰყავდა, შეიფარა. სომეხი და კონფედერატი ბოევიკები სახლში რომ შეუცვივდნენ, ჩემი შვილიაო, განუცხადა. რუსს გავს, ბათუმელია. მერე ბათუმში თვითონ იმ ქალმა ჩამოიყვანა.

თანდათან, ცოტ-ცოტა შევიკრიბენით. დღის, სამწუხაროდ, 28 კაცი გვყავს უგზოუკვლოდ დაკარგული.

აი, ასე იყო.

შემდეგ მთელი ძალები სინოპისკენ გადმოისროლა მტერმა და დაბომბვა დაიწყო. შტაბმა კელასურში გადაინაცვლა. მასირებული ცეცხლი კელასურზე გადმოიტანეს: ხომ გითხარით, ყოველი ჩვენი გადანაცვლება გაკონტროლებული ჰქონდათ.

28 სექტემბერი თენდებოდა. ოთხის ნახევრისთვის ზღვის ნაპირზე ოჩამჩირედან მოსულ ბარჟას უნდა დავხვედროდით, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური და სხვები უნდა გაეყვანა. მაგრამ იქ ისეთი სროლა ატყდა, ისიც და სხვებიც კინაღამ შეიწირა.

სამწუხაროდ, სანაპირო დაცვისა და დესანტის მოქმედება შეთანხმებული არ იყო. ერთმანეთს სროლა აუტეხეს. ცეცხლმა ნაპირზე გადმოინაცვლა, სადაც ჩვენ ვიდექით და ჯვარედინ ცეცხლში მოვყევით.

ბარჟა ნაპირს ვერ მოადგა.

ამის შემდეგ, გვრჩებოდა ერთადერთი გზა — აეროპორტი.

გამიგეთ კარგად, არაფერი მაიძულებს მიკერძოებული ვიყო, მხოლოდ ფაქტებს ვყვები, რაც ვნახე, რისი მოწმეც ვიყავი.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე კატეგორიულად წინააღმდეგი იყო იქიდან წამოსვლისა. ისე ვატყობდი, რომ სიცოცხლე აღარ უნდოდა, სიკვდილზე მიდიოდა. პირდაპირ ვამბობ ამას. შეიძლება ითქვას, რომ ძალით მივიყვანეთ აეროპორტში.

დილის ხუთის ათი წუთი იყო, მიწიდან რომ აიწია თვითმფრინავი.

არმაზ სანებლიძე.

(გაგრძელება იქნება).

„ომი და ჰუმანურობა"

დღეს თბილისის ქარვასლაში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ინიციატივითა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს უშუალო მხარდაჭერით, იხსნება გამოფენა „ომი და ჰუმანურობა".

როგორც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა მიშელ მეიერმა აღნიშნა, გამოფენის საშუალებით კიდევ აიხსნება იმ საყოველთაოდ აღიარებული წესების მნიშვნელობა, რომლებიც სახელმწიფოებმა შეიმუშავეს შეიარაღებული კონფლიქტების შეზღუდვისა და ადამიანური განსაცდელის შემსუბუქების მიზნით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გავრცელება-გაფორმება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

გამოფენა სამი ნაწილისაგან შედგება. მისი ძირითადი ნაწილი გვაცნობს 180 წლის მანძილზე ომების წარმოების საშუალებათა ევოლუციასა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში შესაბამის ცვლილებებს, ფოტო და ტექსტობრივ მასალას — ჟენევის კონვენციებს, მათი გამოყენების სფეროებს. ეს დოკუმენტი მთელ მსოფლიოში იცავს დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლებს, სამხედრო ტყვეებსა და მშვიდობიან მოსახლეობას.

გამოფენის მეორე ნაწილი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობას და მისი სამი კომპონენტის: კომიტეტის, ეროვნული საზოგადოებებისა და ფედერაციის მუშაობას აშუქებს.

და ბოლოს, ექსპოზიციის მესამე ნაწილი ეძღვნება 1868 წლის სანქტპეტერბურგის დეკლარაციას. იგი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, რადგან მისი მიღებით საერთაშორისო საზოგადოებამ პირველად აკრძალა ისეთი იარაღების გამოყენება, რომლებიც გაუმართლებელ ზიანს აყენებენ მსხვერპლს.

გამოფენა 20 აპრილამდე გასტანს.

ყურადღებას ვთხოვთ საქართველოს
ჯანმრთელობის დაცვისა და მშენებლობის
სამინისტროთა მესვეურებს

„ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!"

სხვათა შორის, არ იყო ეს ურიგო დევიზი

შარშან, გაზაფხულზე თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე უხმაუროდ და უზარზეიმოდ გაიხსნა ახალი სამედიცინო დაწესებულება — ბავშვთა სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრი. ორიოდე თვეში, ყოველგვარი რეკლამის დაუხმარებლად, ცენტრი უკვე სრული დატვირთვით მუშაობდა. ან რეკლამა რად სჭირდებოდა, როცა პირველი პაციენტების მშობლებმა ქვეყანას მოსდეს ახალი სამკურნალო დაწესებულების გამორჩეულობის ამბავი.

ამ ცენტრის არსებობა მეც ერთი ჩემი მეგობრისგან შევიტყვე, რომელსაც სისხლის ანალიზის ასაღებად მიეყვანა იქ შვილიშვილები. „ვერასგზით დავიჯერებდი, — მითხრა მან, — თუ ჩვენს ქალაქში, სადაც ახლა ნაგავს მიაქვს ყველაფერი და ამდენი ძარღვებმოშლილი და აგრესიულად განწყობილი ადამიანი ცხოვრობს, არსებობს მშვიდი ოაზისი, სადაც ყველაფერი ბზინავს და კრიალებს, სადაც კეთილმოსურნეა ყველა — დამლაგებელი იქნება თუ მთავარი ექიმი. იქ ლაბორატორიის კართან დგომით ფეხზე არ ჩამოწყდები, თავიდან არავინ გიცილებს — პირიქით, გამოკვლევის სულ ახალ-ახალ მეთოდებს გთავაზობენ. სამ დღეში ხელთ მქონდა ბავშვების სრულყოფილი გამოკვლევის სურათი და საუკეთესო სპეციალისტ-კონსულტანტის დასკვნაც. და, წარმოიდგინე, ეს ყველაფერი — უფასოდ!"...

სიმართლე გითხრათ, ამ ტირადას ჩემში საპასუხო აღფრთოვანება არ გამოუწვევია, რადგან იმხანად თბილისის სამედიცინო დაწესებულებათა დეფიციტი ნამდვილად არ აწუხებდა. პირიქით, იმაზე მეტი სამედიცინო კოოპერატივი მოქმედებდა, ვიდრე ამის საჭიროება იყო. თუმცა, ისიც [illegible]ია, რომ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას ბევრი ჩვენი თანამემამულე მაინც მოკლებული იყო (და არის) მომსახურების საკმაოდ მაღალი ტარიფების გამო.

ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს ბავშვთა კლინიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრის კარი შევაღე და მაშინ დავრწმუნდი, რომ (საყვარელ მწერალს დავესესხები) ჩემი მეგობარი არ ტყუოდა. [illegible] ხალიჩებზე, რომლებიც [illegible] ეს-ეს არის [illegible] გადმოიტანეს, [illegible] ხელსაწყოებისა და კომპიუტერებზე. ყველაფერი ეს ცოტა გაოგნებს კიდეც, იმიტომ, რომ შეუჩვეველი, ან უფრო სწორად — გადაჩვეული ხართ: წესრიგს, გულითადობას, [illegible] გამართულ მუშაობას.

[illegible] და დიაგნოსტირების უახლესი მეთოდები: ულტრაბგერითი გამოკვლევა, ლაზეროდიაგნოსტიკა, ირიდოდიაგნოსტიკა, ავტომატიზებული სადიაგნოსტიკო კომპლექსი. [illegible] ჰყავს შერჩეული სპეციალისტები, [illegible] ახალგაზრდობა, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ცნობილი ინსტიტუტებიდან და კლინიკებიდან მოიწვიეს, ხოლო კონსულტანტები არიან თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თვალსაჩინო სპეციალისტები. ცენტრის მთავარი ექიმი ლალი გუჯაბიძე წლების განმავლობაში თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ხომ ამბობენ — ზევიდან უფრო კარგად მოჩანსო, — ამიტომაც კონტინგენტის შერჩევა მას არ გასჭირვებია.

ცენტრის ბაზაზე მუშაობს ცენტრალური ბიოქიმიური ლაბორატორია, კლინიკური ლაბორატორია კვლევის უახლესი მეთოდებით. წარმატებით ინერგება იმუნოლოგიური კვლევაც.

— ბავშვის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა მუცლადყოფნის დროიდან უნდა იწყებოდეს, — ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი. — გენეტიკური კვლევა დროის მოთხოვნაა. ზოგიერთი სამეურნეო საქმიანობა ადამიანში გენეტიკური აპარატის დაზიანებას იწვევს. შემდეგ ეს გენეტიკური ტვირთი მშობლებიდან ჯერაც დაუბადებელ ბავშვს გადაეცემა, რაც თანდაყოლილი მანკების, მემკვიდრეობითი გენების ქრომოსომული დაავადებების, ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნის მიზეზი ხდება. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ სამედიცინო გენეტიკური პროგნოზირების ჯგუფი, რომელსაც შეუძლია დაადგინოს, თუ რამდენად მოსალოდნელია ბავშვს გადაეცეს ესა თუ ის მემკვიდრული დაავადება. პასუხს ვაძლევთ როგორც დაქორწინებამდე, ისე დაორსულებამდე და იმ შემთხვევებშიც, როცა ოჯახში უკვე დაბადებულია ბავშვი პათოლოგიით და მშობლებს მომდევნო შვილის ბედი აწუხებს. ზოგიერთი დაავადების (მაგალითად, თეძოს თანდაყოლილი ამოვარდნილობა, სკოლიოზი, მტევნისა და ტერფის ანომალიები, ტერფის დეფორმაციები და სხვა) ადრეული გამოვლინება საშუალებას იძლევა დედას (თუ მშობლებს) ჩაუტარდეს პროფილაქტიკური მკურნალობა, და ამის რეკომენდაციებს [illegible] ჩვენი სპეციალისტები იძლევიან.

[illegible] მიაჩნიათ, რომ [illegible] ბავშვთა კვლევის მძლავრ ცენტრად იქცევა და მსოფლიოს სტანდარტების დონეზე გაუწევს დახმარებას არა მარტო ჩვენს მოზარდებს, არამედ უცხოელებსაც.

ოღონდ ამ დონეს რომ მიაღწიოს, მას სერიოზული დახმარება სჭირდება, რას იზამ, ცენტრი კი არის ახალი, მაგრამ პრობლემები, მას რომ აწუხებს — ძველია. მთავარი აქედან სივიწროვეა. ამჟამად ის ხიზანი გახლავთ ქალაქის სანეპიდსადგურისა, რომელმაც მას თავისი ახალი შენობის პირველი სართული დაუთმო. ოციოდე მეტრის სიგრძის დერეფანში ცამეტი კაბინეტი და ლაბორატორიაა მოთავსებული. სარკმლიდან მოჩანს ეზოს გადაღმა მშენებარე სახლის მაღალი კარკასი და მასთან ატუზული გაშეშებული ამწე. აი, იმ შენობაში უნდა დაიდოს ბინა ბავშვთა კლინიკურ-დიაგნოსტიკურმა ცენტრმა, მაგრამ, როდის?

ცნობილია, რა შავდღეშია ახლა ჩვენთან მშენებლობის საქმე. შარშან, შარშანწინ არ ჩაბარებულა კულტურული თუ სამედიცინო დანიშნულების არც ერთი ობიექტი. მაგრამ, ღმერთის შეწევნით, ხომ გამოვალთ სტაგნაციის მდგომარეობიდან? ჰოდა, იმ პირველი საჭიროების, გადაუდებლად ასაშენებელ ობიექტთა ნუსხაში პირველი უნდა იყოს ბავშვთა კლინიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრი. იმიტომ, რომ საქმე ერის მომავალს ეხება. ჩვენი ახლანდელი სიღუხჭირე ყველაზე მძიმე კვალს მოზარდების ჯანმრთელობას დაამჩნევს. მერე და მერე უფრო გამოჩნდება, რა ზიანი მიაყენა მათ ზრდა-განვითარებისათვის არასრულფასოვანმა კვებამ, უჰაერობამ (შარშან ზაფხულს თბილისელ ბავშვთა უმრავლესობა ქალაქიდან არ გაუყვანიათ)... „იცით, — მითხრა ლაბორატორიის გამგემ, ქალბატონმა ეთერ მეტრეველმა, — დღეს ოცდაათზე მეტ ბავშვს ავუღეთ სისხლი ანალიზისთვის და ამათგან მხოლოდ ერთს აღმოაჩნდა 70 პროცენტი ჰემოგლობინი".

ამას ანალიზი რად უნდა! აკი, ჩვენი შვილები უფრო ლოყებდაბრაწულები იყვნენ, ვიდრე ჩვენი შვილიშვილები არიან. უფრო მხიარულები და დაუდგრომლები. ერთხელ, მეტროთი მგზავრობისას, აღმოვაჩინე, რომ სულ პატარა ყმაწვილებსაც კი ჩვენი დაღვრემილი და უსასოო გამომეტყველება გადასდებიათ...

ახლახან კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ცენტრში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც შვიდასამდე მშობელი მონაწილეობდა. შეკითხვებზე — „კმაყოფილი ხართ თუ არა გამოკვლევის პროცესით?" „როგორ შეაფასებდით მედპერსონალის ყურადღებას თქვენდამი?" და „საჭიროა თუ არა ამგვარი დაწესებულება?" — დადებითი პასუხი გასცა გამოკითხულთა (შესაბამისად) 98, 99, 94 პროცენტმა.

დიახ, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მომავალს ეს დაწესებულება ძალიან სჭირდება. მის დაარსებასა და ამოქმედებას დიდი ძალისხმევა მოახმარეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მესვეურებმა ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს დროში. იმედია, მათი ენთუზიაზმი არც შემდგომ განელდება, რადგან ის, რაც ჯერჯერობით გაკეთდა, ჩანაფიქრის [illegible] პირველი ეტაპია. ყურადღებას ვთხოვთ საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტსაც: ჩვენი წერილის მეორე ადრესატი ამ კომიტეტის ხელმძღვანელობაა.

ნანული ბარათაშვილი.

* * *



სურათზე: ექოსკოპიის კაბინეტში. მარცხნიდან მთავარი ექიმის მოადგილე სამედიცინო დარგში თამაზ აბულაძე, მთავარი ექიმი ლალი გუჯაბიძე და ექიმი ექოსკოპისტი ნანა წურწუმია ავადმყოფის გამოკვლევისას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში კვლავ ორხელისუფლებიანობაა: „შევარდენი"-„ტორპედო" — 0:0 (საავიაციო ქარხნის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო შეხვედრა მცხეთაში გაიმართა), „მარგვეთი"-„დილა" — 2:1, „სამტრედია"-„ბათუმი" — 2:0, „ივერია"-„კოლხეთი" — 2:4, „დინამო"-„გურია" — 5:0. ლანჩხუთელები 63-ე წუთამდე ასე თუ ისე ღირსეულად უმკლავდებოდნენ მასპინძლებს — 0:1 (გოლი მე-7 წუთზე გაიტანა იაშვილმა), მაგრამ სეზონისწინა მოსამზადებელი ციკლის ჩაშლამ მათ თამაშს შესაბამისი დაღი დაასვა. ამის დასტური გახლავთ პირწმინდად წაგებული მეორე ტაიმი. ბურთები გაიტანეს ყაველაშვილმა, ჯამარაულმა, რევიშვილმა და ინალიშვილმა.

ამრიგად, 15-15 ქულით დაწინაურდნენ „კოლხეთი" და „დინამო", რომლებიც მორიგ ტურში 10 აპრილს შეხვდებიან შესაბამისად „ტორპედოს" (შინ) და „დილას" (სტუმრად). ხვალ რესპუბლიკის სტადიონებზე გაიმართება ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები.

კალათბურთი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა შეინარჩუნა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ შიხოვცევის აღსაზრდელებმა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მოუგეს მთავარ კონკურენტს — ქუთაისის „მეობას" — 77:73, არადა პირველი ნახევრის შემდეგ მათი მდგომარეობა თითქმის უიმედო ჩანდა — ზუსტი სამქულიანი ტყორცნების შემდეგ ქუთაისელები სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ — 44:31. დასანანია, რომ პრინციპულ მეტოქეთა პაექრობა თითქმის სიბნელეში მიმდინარეობდა.

მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა „მეობამ", ხოლო მესამე — საქართველოს დამოუკიდებელმა უნივერსიტეტმა.

ძიუდო

[illegible] ანზორ კიკნაძის სახელობის მეცხრე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ჩამოსვლა ცნობილი მიზეზების გამო მხოლოდ [illegible] მოახერხეს. აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ [illegible] (აზერბაიჯანი), [illegible], [illegible], ზვიადაური, ბზიშვილი, [illegible], ბუბუა და სითათიშვილი (ყველა — საქართველო).

ჭადრაკი

დასასრულს მიუახლოვდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. 74 მონაწილეს შორის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით — 7 შესაძლებლიდან 7 ქულა — ლიდერობს დავით ლობჟანიძე... 6 ქულით მეორე ადგილზეა რომან სიჯინავა. 5,5-5,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფენ გოჩა ტყებუჩავა, შოთა კვირიაშვილი და დავით ჩიჩიბაია.

ნათელა გელეყვა

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ვალმოხდილი ადამიანი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნათელა გელეყვა.

მის პიროვნებას ამშვენებდა სათნოება, თავმდაბლობა, კეთილშობილება, ინტელექტი, ტაქტი და ადამიანური სითბო, ჰქონდა თანაგრძნობისა და მიმტევებლობის დიდი უნარი.

45 წელი ილვაწა პედაგოგიურ სარბიელზე ჯერ მასწავლებლად — იყო ქალაქის მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი — ხოლო 1975 წლიდან — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდური კაბინეტის გამგე.

სამი ათეული წლის განმავლობაში უშურველად უზიარებდა მასწავლებლებს მდიდარ გამოცდილებას. მის მიერ შედგენილი მეთოდური რეკომენდაციები და რუსული ენის სახელმძღვანელოები გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით.

ქალბატონი ნათელა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მომდურავი არავინ დაუტოვებია. მან პატიოსნად მოიხადა თავისი საზოგადოებრივი, პიროვნული და დედობრივი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

თინა დიდიძე

ჩვენგან წავიდა ვალმოხდილი მკურნალი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი თინა ვლადიმერის ასული დიდიძე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას.

იგი კეთილად და სიყვარულით ახსოვთ მის მადლიერ პაციენტებს. თინა დიდიძემ აღზარდა 5 შვილი და პატიოსნად მოიხადა თავისი პიროვნული და დედობრივი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

მეგობრებისა და კოლეგების ჯგუფი.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი

მედეა ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი თანაუგრძნობს ბატონ ლაშა თაბუკაშვილს დედის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის

მედეა ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება „მანდილოსანი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ულამაზესი მანდილოსნის ქალბატონ

მედეა ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს, განსვენებულის ოჯახს.

მოვითხოვთ კაბალური დადგენილების გაუქმებას!

მიმართვა

თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიისადმი

თბილისის კერძო (ფასიან) უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და რექტორატები აღაშფოთა თქვენს მიერ წლეულს, 14 თებერვალს, მიღებულმა დადგენილებამ, რადგან იგი ასამარებს საბაზრო ეკონომიკას განათლების სისტემაში, აკოტრებს კერძო სასწავლებლებს, ხელოვნურად ამწვავებს ისედაც გაღატაკებულ სტუდენტთა (მოსწავლეთა) სოციალურ პრობლემებს.

კერძო (ფასიან) უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების ხარჯზე ქალაქის მერიის შემოსავლების გაზრდის მოტივები იმდენად უსაფუძვლო და უსუსურია, რომ არც ღირს მისი გაანალიზება. თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მხოლოდ მის შედეგებზე — იმ სახიფათო სოციალურ აფეთქებაზე, რაც უთუოდ მოჰყვება თქვენი დადგენილების რეალიზების მცდელობას.

უამრავი კერძო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებელი (რომელმაც დასაფუძნებლად სოლიდური თანხები გაიღო), ასობით პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაც დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდათ, ათობით ათასი გაჭირვებული სტუდენტი ახალგაზრდა სიმწრით გადახდილი სწავლის ქირა წყალში რომ უნდა ჩაეყაროს, გულხელდაკრეფილი როდი შეეგებება თქვენს მკაცრ „განაჩენს".

მოვითხოვთ კაბალური გადასახადის შესახებ მიღებული დადგენილების სასწრაფოდ გაუქმებას.

კერძო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭო.

2 თვე ჩვენთან სწავლა და....
თქვენ შეგეძლებათ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებთან და კომპიუტერთან ურთიერთობა, საქმიანი საუბარი და წერილების შედგენა ინგლისურ ენაზე.
თქვენ გახდებით პროფესიონალი მდივან-რეფერენტი
რაც საშუალებას მოგცემთ იმუშაოთ ერთობლივ საწარმოებში, სააქციონერო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, კომერციულ ბანკებში.
სწავლა დაიწყება 11 აპრილს.
დაგვიკავშირდით ტელეფონით: 39-27-62
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40
თბილისის მენეჯერთა სკოლა
სასწავლო საკონსულტაციო ფირმა ამპა

ფირმა «კომეტა» გთავაზობთ:
ზეთსახდელ დანადგარებს; წისქვილებს და სხვა მოწყობილობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასამზადებლად; ლუდის კონცენტრატს (ინგლისი).
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 139.
ტელეფონები: 34-20-57, 34-36-95

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.